საგადასახადო დანახარჯების შეფასების ანგარიში

(2018-2025)

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
2026 წელი, სექტემბერი

აკრონიმები 3

თავი I. შესავალი 4

თავი II. საგადასახადო დანახარჯების ნუსხა (კატალოგი) 6

II.a მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების საგადასახადო დანახარჯები 6

II.b დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო დანახარჯები 9

თავი III. მთლიანი შეფასებული საგადასახადო დანახარჯები საქართველოსთვის 11

III.a მოგების და საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯები 12

III.a.1 ძველი მოგების გადასახადი (Old CIT) 16

III.a.2 განაწილებული მოგების გადასახადი (ესტონური მოდელი) (DPT) 20

III.a.3 საშემოსავლო გადასახადი (PIT) 22

III.a.4 სხვა მოგებისა და საშემოსავლო გადასახადები 26

III.b დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო დანახარჯები 27

თავი IV. დასკვნა 31

გამოყენებული ლიტერატურა 34

აკრონიმები

CIT	ძველი მოგების გადასახადი
DPT	განაწილებული მოგების გადასახადი
DPCIP	განაწილებული მოგება, რომელიც გათავისუფლებულია მოგების გადასახადიდან
EU	ევროკავშირი
FC	უცხოური ვალუტა
FIZ	თავისუფალი ინდუსტრიული ზონა
GEOSTAT	სტატისტიკის ეროვნული სამსახური
GIR	მიღებული მთლიანი შემოსავლები
GRS	საქართველოს შემოსავლების სამსახური
IMF	საერთაშორისო სავალუტო ფონდი
IRP	საპროცენტო განაკვეთის პარიტეტი
ITE	მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების საგადასახადო დანახარჯები
MoF	ფინანსთა სამინისტრო
PIT	საშემოსავლო გადასახადი
RIA	რეგულირების გავლენის შეფასება
SUT	რესურსების და გამოყენების ცხრილი
TP	დაბეგვრადი პროპორციები
USAID	აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
VAT	დამატებული ღირებულების გადასახადი
VATE	დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო დანახარჯები

თავი I. შესავალი

ეკონომიკური, სოციალური თუ გარემოს დაცვითი პოლიტიკის ფარგლებში დასახული ამოცანების მიღწევის მიზნით, სხვადასხვა ქვეყანა ზოგჯერ ეკონომიკური სუბიექტების სტიმულირებას ახდენს საგადასახადო პოლიტიკის (შეღავათების) გამოყენებით. სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტის სახით საგადასახადო შეღავათების გამოყენება გულისხმობს საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებას, რასაც **საგადასახადო დანახარჯი** ეწოდება. ის შესაძლოა განვიხილოთ, როგორც მიუღებელი შემოსავალი, რაც გამომდინარეობს გარკვეული სტიმულებიდან, საგადასახადო შეღავათებიდან და გათავისუფლებიდან, განსხვავებული დაბეგვრის რეჟიმებიდან და ა.შ. საგადასახადო დანახარჯი არის მთავრობის პოლიტიკის შედეგი, რომელიც შესაძლოა მიზნად ისახავდეს ბიზნესის მხარდაჭერასა თუ სოციალური შედეგის მიღებას.

საგადასახადო დანახარჯების ანალიზი მნიშვნელოვანი ნაბიჯია საგადასახადო შეღავათების ეკონომიკური და სოციალური გავლენის შესასწავლად. საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასებისთვის, მოცემულ ანგარიშში გამოყენებულია „შემოსავლის დანაკარგის“ მეთოდი. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გადასახადის სტანდარტის, ან „ბენჩმარკის“ სისტემის განსაზღვრა [იხ. TER, გვ 8]. საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასება მიზნად ისახავს დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ), მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების შეფასებული საგადასახადო დანახარჯების შესწავლას, მათ ძირითად ტენდენციებსა და კონტრიბუტორებზე დაკვირვებას 2018 წლიდან 2025 წლის ბოლომდე.

საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასება მოიცავს 2018-2025[1] წლებს (როგორც მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების, ასევე - დღგ-ს საგადასახადო დანახარჯებისთვის). მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასება მოიცავს: ძველი მოგების გადასახადის (CIT), განაწილებული მოგების გადასახადის (DPT), საშემოსავლო გადასახადის (PIT) და სხვა მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების საგადასახადო დანახარჯების შეფასებებს. ძირითადი შედეგები საგადასახადო დანახარჯების შეფასებისას შემდეგია:

- მთლიანი შეფასებული საგადასახადო დანახარჯები 2025 წელს შეადგენს 6,875 მლნ ლარს (მშპ-ს 6.6 პროცენტი), რაც აღემატება 2018-2024 წლების ნომინალურ მაჩვენებელს, ხოლო ჩამორჩება 2019-2024 წლების მაჩვენებელს მშპ-ს პროცენტულ გამოსახულებაში.

[1] მონაცემების დაზუსტების გამო შესაძლოა შეიცვალოს წინა წლების საგადასახადო დანახარჯების როგორც აბსოლუტური, ისე - ფარდობითი მაჩვენებელები.

- 2025 წელს დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები მთლიანი შეფასებული საგადასახადო დანახარჯების ძირითად ნაწილს შეადგენს (მთლიანი საგადასახადო დანახარჯების დაახლოებით 92 პროცენტი);
- დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები მშპ-ს 4.9 პროცენტიდან (2018) 6.4 პროცენტამდე (2019) გაიზარდა, ხოლო 2020 წელს შემცირდა მშპ-ს 6.2 პროცენტამდე. აღნიშნული მაჩვენებელი 2021 წელს კვლავ გაიზარდა მშპ-ს 7.4 პროცენტამდე, ხოლო 2022 წელს შემცირდა 7.2 პროცენტამდე და შემდგომ კვლავ დაიკლო 6.8 პროცენტამდე 2023 წელს. კლების ტენდენცია შემდგომ წლებშიც შენარჩუნდა და 2024 წელს მშპ-ს 6.6 პროცენტზე დაფიქსირდა, ხოლო 2025 წელს მან მშპ-ს 6.1 პროცენტი შეადგინა.
- მთლიანმა შეფასებულმა მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო დანახარჯებმა 2025 წელს მშპ-ს 0.5 პროცენტი შეადგინა (რაც 2018 წელს მშპ-ს 0.9 პროცენტი იყო, ძირითადად საშემოსავლო (PIT) და ძველი მოგების გადასახადის (Old CIT) გამო);
- შეფასებული ძველი მოგების გადასახადის (Old CIT) საგადასახადო დანახარჯები 2018 წლის (მშპ-ს 0.4 პროცენტი) შემდეგ შემცირდა და 2022 წელს მშპ-ს 0.1 პროცენტი შეადგინა, ძირითადად რეჟიმის ეტაპობრივი გაუქმების გამო. თუმცა აღსანიშნავია, რომ ის მცირედ გაზრდილია 2021 წელთან შედარებით (მშპ-ს 0.08 პროცენტი 2021 წელს). აღნიშნული მაჩვენებელი 2023-2025 წლებში 0.1 პროცენტულ დონეზე ნარჩუნდება;
- მთლიანი შეფასებული საშემოსავლო გადასახადის (PIT) საგადასახადო დანახარჯები მშპ-ს 0.4 პროცენტიდან (2018) 0.3 პროცენტამდე (2025) შემცირდა;
- მოცემულ ანგარიშში საპროცენტო საშემოსავლო საგადასახადო დანახარჯისთვის გამოყენებულია TER ანგარიშში წარმოდგენილი ოთხი სხვადასხვა მიდგომიდან შერჩეული მეთოდი, სადაც არ არის გათვალისწინებული საპროცენტო პარიტეტი, კორექტირებულია გადასახადის გადახდის პერიოდითა და ვალუტების დეკომპოზიციით[2]. მიღებული შეფასებით, საპროცენტო საშემოსავლო საგადასახადო დანახარჯი 2025 წლისათვის მშპ-ს 0.07 პროცენტს შეადგენს;
- სხვა მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების საგადასახადო დანახარჯები მოიცავს მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირებს 1 პროცენტიანი და 3 პროცენტიანი განაკვეთებით დაბეგვრის შემთხვევაში. აღნიშნულისთვის ანგარიშში საგადასახადო დანახარჯები შეფასებულია სხვადასხვა მოგების მარჟის დაშვების შედეგად და შერჩეულია მეთოდი, სადაც აღებულია მთლიანი ბიზნეს სექტორისთვის არსებული მოგების მარჟა[3];

[2] არ ითვალისწინებს საპროცენტო პარიტეტს და დათვლილია საშუალო ლარი-დოლარის კურსი თვის ბოლოდან შემდგომი თვის 15 რიცხვამდე, მოდიფიცირებულია ვალუტების დეკომპოზიციით GEL, USD, EUR და სხვა. იხ. TER დანართი 5, გვ. 70.

[3] დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ TER დანართი 5, გვ. 72.

- დოკუმენტში მიღებული ზოგიერთი შედეგი განსხვავდება ფინანსთა სამინისტროს მიერ წინა წელს გამოქვეყნებული საგადასახადო დანახარჯების შეფასების ანგარიშისგან (TER), განახლებული და დაზუსტებული მონაცემების გამო, რაც ეხება როგორც საგადასახადო ბაზას, ასევე - ეროვნული ანგარიშების განახლებულ მონაცემებს;
- მეთოდოლოგია და საგადასახადო დანახარჯების დეტალური აღწერა იგივეა, რაც გამოყენებული იყო წინა ანგარიშში. დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ TER.

ანგარიშის სტრუქტურა შემდეგია: თავი II მოიცავს საგადასახადო დანახარჯების ნუსხას, რაც დაყოფილია მოგებისა და საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადების საგადასახადო დანახარჯებად. თავი III გვიჩვენებს საქართველოს საგადასახადო დანახარჯების შეფასებას 2018-2025 წლებში, რაც დაყოფილია მოგების, საშემოსავლო და დღგ-ს საგადასახადო დანახარჯებად. ბოლო თავი (თავი IV) წარმოადგენს შეჯამებას.

თავი II. საგადასახადო დანახარჯების ნუსხა (კატალოგი)

ამ თავში წარმოდგენილი და განხილულია მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯებისა (ITE) და დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების (VATE) ნუსხა (კატალოგები). მასში ასევე მოცემულია მითითება ამ საგადასახადო დანახარჯების ელემენტების დეტალური აღწერის შესახებ.

II.a მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების საგადასახადო დანახარჯები

შემოსავალზე გადასახადების ნაწილში საგადასახადო კოდექსი ჯამში (საშემოსავლო და მოგების გადასახადები) 55 ელემენტს შეიცავს, რომელთაგან 52 წარმოადგენს გადახრას საბაზისო საგადასახადო სისტემიდან და ამიტომაც მიჩნეულია შემოსავალზე გადასახადების ნაწილში არსებულ საგადასახადო დანახარჯად. ცხრილ 1-ში წარმოდგენილია მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების საგადასახადო დანახარჯების სია, აგრეთვე მათი აღწერა საგადასახადო კოდექსის მიხედვით, საგადასახადო კოდექსის შესაბამის მუხლებზე მითითება, პოლიტიკის მიერ მათი საგადასახადო დანახარჯად კლასიფიკაცია, ღონისძიების სახეობა (გათავისუფლება „EX” ან შემცირებული განაკვეთი „RR”) და გადასახადის ტიპი (საშემოსავლო გადასახადი „IT” ან მოგების გადასახადი „PT”). ცხრილ 1-ში წარმოდგენილი ყველა ელემენტი მიჩნეულია არასტრუქტურულ საგადასახადო დანახარჯად (საგადასახადო დანახარჯების არასტრუქტურულად მიჩნევის თაობაზე მიმოხილვა იხილეთ ფინანსთა სამინისტროს მიერ 2022 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის (TER) დანართი 1-ში).

საშემოსავლო გადასახადის ნაწილში საგადასახადო დანახარჯების აღწერა მოცემულია TER დანართ 3-ში, ხოლო მე-4 დანართში წარმოდგენილია დამატებული ღირებულების

გადასახადის საგადასახადო დანახარჯების აღწერა. აღწერილობები ორგანიზებული და დალაგებულია საიდენტიფიკაციო ნომრების გამოყენებით, რომლებიც ასევე გვხვდება ცხრილ 1-ის პირველ სვეტში. წარმოდგენილი ინფორმაცია შედგება შემდეგი ელემენტებისგან: საიდენტიფიკაციო ნომერი, საგადასახადო კოდექსიდან აღებული აღწერილობა, დანერგვის წელი, მიზანი და შეღავათით მოსარგებლე პირი ან პირები (ბენეფიციარები).

ცხრილი 1. მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯების ნუსხა

მით.	ღონისძიება	საგად.კოდ.მუხლი	პოლიტიკა	სახე	გადასახადი
1	ორ წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული აქტივების [საცხოვრებელი ბინა (სახლი) და სხვა პირადი ქონება, გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებისა] მიწოდებით მიღებული შემოსავალი	82.1 (ვ) (ვ.ა), (ვ.გ)	TE	EX	IT
2	6 თვეზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაციით მიღ	82.1 (ვ.ბ)	TE	EX	IT
3	კომპანიის ლიკვიდაციის ან კაპიტალის შემცირების გზით პარტნიორ ფიზ. პირზე წილის სანაცვლოდ	82.1 (ჩ)	TE	EX	IT
5	ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული პროცენტები, წყაროსთან არ იბეგრება და	131.5	TE	EX	IT/PT
7.1	თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში თიზ-ის საწარმოდან მიღებული პროცენტი გადახდის წყაროსთან	131.9	TE	EX	IT
7.2	თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში თიზ-ის საწარმოდან მიღებული დივიდენდი გადახდის წყაროსთ	130.7	TE	EX	IT
7.3	თიზ-ის საწარმოს მიერ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ნებადართული საქმიანობიდან მიღებულ	99.1 (ნ)	TE	EX	IT/PT
8	ვირტუალური ზონის იურ. პირის მიერ შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს ფა	99.1 (ჟ)	TE	EX	IT/PT
9	ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტის მიერ მიღებული მოგების განაწილება	99.1 (რ)	TE	EX	IT/PT
10	სპეციალური სავაჭრო კომპანიის მიერ ნებადართული საქმიანობიდან მიღებული მოგების განაწილე	99.1 (ტ)	TE	EX	IT/PT
11.1	რეზიდენტი იურ. პირის მიერ 1/1/2023-მდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებულ	82.1 ($უ^2$)	TE	EX	IT
11.2	რეზიდენტი იურ. პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამშვებული და საქართველ	82.1 ($უ^1$), ($უ^3$)	TE	EX	IT
12.1	არარეზიდენტის მიერ, რეზიდენტი იურ. პირის მიერ 1/1/2023-მდე საქართველოში საჯარო შეთავაზ	99.1 ($მ^2$)	TE	EX	IT/PT
12.2	არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურ. პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამ	99.1($მ^1$), ($მ^3$)	TE	EX	IT/PT
13	1/1/2023-მდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრის მიერ ამ კოოპერატივისაგან მიღებული დ	130.4^1	TE	EX	IT
14	1/1/2023-მდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივსა და მის წევრთა შორის სასოფო-სამეურნეო საქმია	100.4(ზ)	TE	EX	IT
15	მაღალმთიანი დასახლების საწარმოს მიერ ამავე დასახლებაში საქმიანობიდან მიღებული მოგების	99.1 (ღ), $82.1.ჰ^3$	TE	EX	PT
16	მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების სტატუსის მქონე პირის მიერ ასეთ დასახლებასი	82.2 (გ)	TE	EX	IT
17.1	სამ- ან მეტშვილიანი პირის მიერ მაღალმთიან დასახლებაში საბიუჯეტო ორგანიზაციიდან მიღებუ	82.2 (ა.ვ.)	TE	EX	IT
17.2	მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ ერთ- ან ორშვილიან პირს ასეთ დასახლებაში საბი	82.2 (ა.ვ)	TE	EX	IT
18	მაღალმთიან დასახლებაში ან ისეთ დასახლებაში ან ისეთში, სადაც სანოტარო სერვისები არ იყო ხ	82.1 ($ჯ^1$)	TE	EX	IT
19	მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს	86	TE	EX	IT
20	მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ დაქირავებული პირებისთვის კალენდარული წლის გან	100.4 (დ), 94.4(ა)	TE	EX	IT
21	აზარტული კლუბის, სათამაშო აპარატების სალონის, აგრეთვე ტოტალიზატორის მომწყობი პირები	82.1 (ძ)	TE	EX	IT
25	ოლიმპიურ თამაშებში, საჭადრაკო ოლიმპიადებში, მსოფლიო ან/და ევროპის ჩემპიონატებში და ა.	82.1 (გ)	TE	EX	IT
26	ალიმენტი და განქორწინების საფუძველზე მიღებული ქონების ღირებულება (შემოსავალი)	82.1 (დ)-(ე)	TE	EX	IT
27	სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირიდან საქაველ	82.1 ($ბ^1$)	TE	EX	IT
28	მკურნალობის ან/და სამედიცინო მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად საქველმოქმედო ორგ	82.1 ($ბ^2$)	TE	EX	IT
29	სოციალურად დაუცველი ოჯახების ბაზაში რეგისტრირებული პირის , საქართველოს მთლიანობისა	82.1 (წ)	TE	EX	IT
30	ომის ვეტერანი საქართველოს მოქალაქის მიერ მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3 000 ლარამდე	82.2 (ა.ა)	TE	EX	IT
31	იმ პირის 3 000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავალი, რომელსაც მინიჭებული აქვს "ქართვლის დედის" ს	82.2 (ა.ბ)	TE	EX	IT
32	იმ პირის 3 000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც არის მარტოხელა დედა ან რომელმაც ი	82.2 (ა.გ, ა.დ, ა.ე)	TE	EX	IT
33	ბავშვობიდან შშმ პირის, აგრეთვე მკვეთრად და მძიმედ ნეველოვნად გამოხატული შშმ პირის მიერ კალ	82.2 (ბ)	TE	EX	IT
36	ლატარიიდან მიღებული მოგება, რომლის ღირებულება არ აღემატება 1 000 ლარს	82.1 (ღ)	TE	EX	IT
37	არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი საწარმოს, ორგ	82.1(რ), 99.1(კ)	TE	EX	IT/PT
38	არარეზიდენტის მიერ ქონების ლიზინგით გაცემიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთ	82.1 (ს), 99.1(ლ)	TE	EX	IT/PT
39	მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელი საცალო მომხმარებლის მიერ წამრმოებული ჭა	82.1($ჰ^4$)	TE	EX	IT
40	სახელმწიფოს, ეროვნული ბანკის ან საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის ფასიანი ქაღალდებიდ	82.1(ტ), (უ)	TE	EX	IT
41	სახელმწიფოს, საქართველოს ეროვნული ბანკის ან საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის სასესხი	82.1(ტ), (უ), 99.1(მ)	TE	EX	IT/PT
42	საცხოვრებელი ფართობის ორგანიზაციაზე საცხოვრებელი მიზნით გაქირავების შედეგად იმ ფიზიკ	81.2	TE	RR	IT
43	ფიზიკური პირის მიერ საცხოვრებელი ბინის (სახლის) და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის მიწო	81.3	TE	RR	IT
44	ფიზიკური პირის მიერ ავტოსატრანსპორტო სასუალების მიწოდებით მიღებული ნამეტი შემოსავალ	81.3	TE	RR	IT
45.1	მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 1 პროცენტით, გარდა 90-ე	90.1	TE	RR	IT
45.2	მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 3 პროცენტით, თუ ეკონომ	90.2	TE	RR	IT
46.1	ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი საქ. მთავრობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის მიხედვით	95^3(ა)	TE	RR	IT/PT
46.2	ფიქსირებული გადასახადის განაკვეთი საქ. მთავრობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის მიხედვით	95^3(ბ)	TE	RR	IT/PT
50	ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირის მიერ ასეთი ტოტალიზატო	309.16	TE	RR	IT/PT
51	ტურისტული საწარმოს მიერ ფიზიკურ პირზე შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ან	133^2	TE	RR	IT
52	კაპიტალის მატება (გადასახადის გადავადების ეფექტი) არ არის მიჩნეული შემოსავლად	151	TE	EX	-
53	არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი (სხვა), რომელ	134.1(ე)	TE	RR	IT/PT
54	არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული როიალტი, რომელიც არ გა	134.1($ბ^1$)	TE	RR	IT/PT
55	გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს სრულად გამოქვითოს ძირითადი საშუალებების, გარდა საწ	112.1	TE	RR	IT/PT

II.b დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო დანახარჯები

საგადასახადო კოდექსი მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადის (VATE) 66 დანახარჯს, რომელიც მოიცავს ჩათვლის უფლებით და ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული ოპერაციების კომბინაციას. ეს დანახარჯები წარმოადგენს დღგ-ს ძირითადი სისტემიდან გადახრას. TER მე-4 დანართში წარმოდგენილია დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო დანახარჯების აღწერა. აღწერილობები ორგანიზებული და დალაგებულია საიდენტიფიკაციო ნომრების გამოყენებით, რომლებიც ასევე გვხვდება ცხრილ 2-ის პირველ სვეტში. მე-2 ცხრილში მოცემული გვაქვს დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები და მათი აღწერა საგადასახადო კოდექსიდან, პოლიტიკის კლასიფიკაცია (TE), გამოყენებული გათავისუფლების ტიპი (E- ჩათვლის უფლების გარეშე, Z ჩათვლის უფლებით). მე-2 ცხრილში მოცემული ყველა დანახარჯი ითვლება არასტრუქტურულ დანახარჯად (იხილეთ TER ანგარიშის 1-ელი დანართი, სადაც განხილულია დანახარჯების კლასიფიკაცია არასტრუქტურულ და სხვა დანახარჯებად).

ცხრილი 2. დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო დანახარჯების ნუსხა


მით.	ჩათვლის უფლება	ღონისძიება	საგად. კოდ. მუხლი	პოლიტიკა	თემა	კატეგორია
1	E	შეთანხმების შესაბამისად ინვესტორთა გათავისუფლება გადასახადისაგან მშენებლობის დაწყებიდან 10 წლის ვადით	172-ე ,4 („ქ“)	TE	ბიზნესი-სხვა	N
2	E	18 წლამდე ასაკის ფიზიკური პირისთვის სახელოვნებო და სასპორტო სწავლების მომსახურების გაწევა	170.1(ზ)	TE	სოციალური	N
3	E	ბავშვისა და მოზარდის უფლებების დაცვასთან უშუალოდ დაკავშირებული მომსახურების გაწევა ან/და საქონლის მიწო	170.1(ი)	TE	სოციალური	N
4	E	დიაბეტური პურის მიწოდება, რომელიც მიწოდებისას მარკირებულია ასეთად	170.1(რ)	TE	საოჯახო მეურნ	N
5	E	საგანმანათლებლო მომსახურება და შესაბამისი დამხმარე საქონლისა და მომსახურების მიწოდება და რეპეტიტორობა	170.1(ე)-(ვ)	TE	სოციალური	N
6	E	საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე წარმოშობილი ან წარმოებული საქონლის საქართველოს ოკუპირებული ტე	171.1(ტ)	TE	ბიზნესი-სხვა	N
7	Z	ტურისტული საწარმოს მიერ ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ობიექტის ან ამ ობიექტის ნაწილის სასტუ	172.4(ღ)	TE	ბიზნესი-ტურიზ	N
8	E	შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შერჩეული პირის მიერ იმ საქონლ	173(ჩ)	TE	მთავრობა	N
9	E	სეს ესნ-ის 8703 კოდით გათვალისწინებული მსუბუქი ავტომობილის ან/და 8711 კოდით გათვალისწინებული მოტოციკლ	173(ზ)	TE	ბიზნესი-სხვა	N
10	E	სეს ესნ-ის 8703 10 110 00 კოდით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების იმპორტი	173(ნ)	TE	ბიზნესი-სხვა	N
11	E	სეს ესნ-ის 8702 90 90 კოდით გათვალისწინებული ელექტროძრავიანი ავტობუსის (მათ შორის, ელექტროძრავიანი მიკრო	173(ჯ[2])	TE	ბიზნესი-სხვა	N
12	E	ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების ან/და ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის იმპორტი	173(ა.დ)	TE	ოჯახები	N
13	E	დიაბეტური პურის იმპორტი, რომელიც მარკირებულია ასეთად	173(ლ)	TE	ჯანმრთელობა	N
14	E	შემოსავლების სამსახურის ან/და შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	173(ი)	TE	მთავრობა	N
15	E	სეს ესნ-ის 4901, 4902 და 4904 00 000 00 კოდებით გათვალისწინებული საქონლის (ჟურნალები, გაზეთები, ნოტები) იმპორ	173(მ)	TE	სოციალური	N
16	E	სეს ესნ-ის 4801, 4802 55, 4802 61 100 00 და 4810 22 კოდებით გათვალისწინებული საქონლის (გაზეთის, ქაღალდი და სხვა	173(დ)	TE	ბიზნესი-სხვა	N
17	E	სეს ესნ-ის 4901 და 4903 00 000 00 კოდებით გათვალისწინებული საქონლის (წიგნის) იმპორტი	173(ჯ[1])	TE	სოციალური	N
18	E	საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-10 წიგნის შესაბამისად იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებული საქონლის	173(შ)	TE	ბიზნესი-სხვა	N
19	E	სამკურნალო/სამედიცინო მიზნისთვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი	173(ა.ა)	TE	ბიზნესი-სხვა	N
20	E	ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდ	173(ა.გ)	TE	სოციალური	N
21	E	გრანტის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი გრანტის გამცემი ან მიმღები პირის მიერ	173(ც)	TE	ბიზნესი-სხვა	N
22	E	სეს ესნ-ის 30-ე ჯგუფით გათვალისწინებული საქონლის ფარმაცევტული პროდუქცია) იმპორტი	173(ბ)	TE	ბიზნესი-სხვა	N
23	E	სეს ესნ-ის 9619 00 000 00 კოდით გათვალისწინებული საქონლის (სველი ხელსახოცი, პამპერსი და სხვა) იმპორტი;	173(ა.ე)	TE	საოჯახო მეურნ	N
24	E	სეს ესნ-ის 1211 90 980 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციით გათვალისწინებული ძირტკბილას ფესვების, 1211 20 000 00, 130	172(ე)	TE	ბიზნესი-სოფლ	N
25	E	სეს ესნ-ის 0102 21, 0103 10 000 00, 0104 10 100 00, 0104 20 100 00, 0105 11, 0511 10 000 00, 0602 10, 2503 00, 2803 00, 3101 00	173(ვ)	TE	ბიზნესი-სხვა	N
26	E	სეს ესნ-ის 8701 90 110 00 – 8701 90 500 00 კოდებში აღნიშნული ტრაქტორებისთვის განკუთვნილი, სეს ესნის 8706 00 190	173(ჰ)	TE	ბიზნესი-სხვა	N
27	E	რადიოფარმპრეპარატების, ეტლებისა და მათი ნაწილების და საკუთნოების, სამედიცინო დანიშნულების რენტგენის ფ	173(ა.ბ)	TE	ჯანმრთელობა	N
28	E	სეს ესნ-ის 8903 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული საქონლის (იახტები და დანარჩენი მოცურავე საშუალებები	173(თ)	TE	სოციალური	N
29	E	თევზჭერის განმახორციელებელი პირის მიერ დაჭერილი იმ საქონლის პორტში იმპორტი, რომელიც არ არის დამუშავებ	173(ჯ)	TE	ბიზნესი-თევზა	N
30	E	საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული წუხნის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო პესტიციდებისა და	173(რ)	TE	ბიზნესი-სოფლ	N
31	E	სეს ესნ-ის 8802 11 100 00, 8802 12 100 00, 8802 20 100 00, 8802 30 100 00 და 8802 40 100 00 შესაბამისი კოდებით გათვალის	173(ტ)	TE	ბიზნესი-სხვა	N
32	Z	საქართველოში მობილურ ან ფიქსირებულ ქსელში საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურება	172.4(ყ)	TE	ბიზნესი-სხვა	N
33	E	იმ საქონლის ლიზინგი, რომლის მიწოდება ამ კოდექსის შესაბამისად დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშეა გათავისუ	171.1(კ)	TE	ბიზნესი-სხვა	N
34	E	ლატარიებით, აზარტული და მომგებიანი თამაშობებით მომსახურების გაწევა, როდესაც ლატარეის მომწყობი პირის 50	171.1(ბ)	TE	მთავრობა	N
35	Z	ლატარიებით, აზარტული და მომგებიანი თამაშობებით მომსახურების გაწევა როდესაც სახელმწიფო ფლობს 50%-ზე მ	172.4(ს)	TE	მთავრობა	N
36	E	შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შერჩეული პირის მიერ აქციზური	171.1(ნ)	TE	მთავრობა	N
37	E	კბილის ტექნიკოსის მიერ პროფესიული საქმიანობის ფარგლებში მომსახურების გაწევა, აგრეთვე სტომატოლოგის ან/დ	170.1(ა)-(გ)	TE	სოციალური	N
38	Z	ტუროპერატორის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი ტურისტის ორგანიზებული შემოყვანა და მისთვის საქა	172.4(ჰ)	TE	ბიზნესი-ტურიზ	N
39	E	რელიგიური ორგანიზაციის მიერ სსკ-ის 170-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“, „ე“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებ	170.1(მ)	TE	სოციალური	N
40	E	დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურების (მათ შორის, ავტოტრანსპორტით მომსახურების) გაწევა;	170.1(ჟ)	TE	სოციალური	N
41	E	ელექტრონული მატარებლების (დისკების) საშუალებით სალექციო კურსების მიწოდება, რომლებიც საგანმანათლებლო	171.1(ე)	TE	სოციალური	N
42	E	ორგანიზაციის მიერ მისი საქმიანობის მიზნიდან გამომდინარე, საკუთარი წევრებისთვის დადგენილი საწევროების სან	170.1(კ)	TE	სოციალური	N
43	E	ორგანიზაციის მიერ მომსახურების გაწევა/საქონლის მიწოდება მხოლოდ საკუთარი საქმიანობის მიზნით სახსრების მი	170.1(ნ)	TE	სოციალური	N
44	E	კულტურული ან რელიგიური მემკვიდრეობის ძეგლების რესტავრაცია, რეაბილიტაცია, პროექტირება და კვლევითი სამუ	170.1(ლ), (ტ)	TE	სოციალური	N
45	E	სეს ესნ 4901, 4902 და 4904 00 000 00 კოდებით გათვალისწინებული საქონლის (ჟურნალების, გაზეთების, ნოტების) რეალ	171.1(ვ)	TE	ბიზნესი-სხვა	N
46	E	რეგულირებადი ფასებითა და ტარიფებით საქალაქო და შიგაროსულ მარშრუტებზე სამგზავრო ტრანსპორტით (გარე	171.1(ლ)	TE	საოჯახო მეურნ	N
47	E	მომსახურების გაწევა ხელშეკრულების საფუძველზე, რომელსაც სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლი	171.1(ფ)	TE	მთავრობა	N
48	E	საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მოსახლეობის სოციალურ უზრუ	170.1(თ)	TE	სოციალური	N
49	Z	სეს ესნ-ის 8702 90 90 კოდში მითითებული ელექტროძრავიანი ავტობუსის (მათ შორის, ელექტროძრავიანი მიკროავტობ	172.4(ჭ)	TE	ბიზნესი-სხვა	N
50	Z	სეს ესნ-ის 4901 და 4903 00 000 00 კოდებით გათვალისწინებული საქონლის (წიგნის) ან ელექტრონული წიგნის მიწოდებ	172.4(წ)	TE	სოციალური	N
51	E	საქართველოს საპატრიარქოს მიერ ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა საღვთისმსახურო საგნის მიწი	170.1(ს)	TE	სოციალური	N
52	Z	საქართველოში მთლიანად წარმოებული საქონლისაგან მიღებული სეს ესნ-ის 0201, 0203 11–0203 19, 0204 10 000 00–020	172.4(ფ)	TE	ბიზნესი-სოფლ	N
53	E	მიწის ნაკვეთის მიწოდება	171.1(გ)	TE	ბიზნესი-სხვა	N
54	E	ფიზიკური პირისთვის მიწის ნაკვეთის და მასზე დამაგრებული საცხოვრებელი ბინის/სახლის მიწოდება, თუ მიმწოდებე	171.1(ღ)	TE	სოციალური	N
55	Z	საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის (გარდა სეს ესნ-ის 0407 11 000 00 და 0407 21 000 00 კო	172.4(უ)	TE	ბიზნესი-სოციალ	N
56	Z	შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის და შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენების მიწოდება, თუ შესაძლებელია	172.4(დ)	TE	ბიზნესი-სხვა	N
57	Z	თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში საქართველოს საქონლის მიწოდება რეალიზაციისთვის და ამ პუნქტში საქონლის რეალ	172.4(ნ)	TE	ბიზნესი-სხვა	N
58	E	სეს ესნ-ის 4820 20 000 00 კოდში მითითებული საქონლის (რვეულები) მიწოდება	171.1(ჟ)	TE	ბიზნესი-სხვა	N
59	E	„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოე	171.1(ქ)	TE	ბიზნესი-სხვა	N
60	Z	სპეციალური საწარმოს სტატუსის მქონე პირის მიერ საქონლის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიწოდება	172.4(მ)	TE	ბიზნესი-სპეციალ	N
61	Z	საქართველოში წარმოებული სამკურნალო/სამედიცინო მიზნისთვის განკუთვნილი საქონლის ან ფარმაცევტული საწარ	172.4(ჯ)	TE	სოციალური	N
62	E	სსკ-ის 173-ე მუხლის „ა“–„ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლის (საქონელი, რომელთა იმპორტი გათავისუფ	171.1(ღ)	TE	ბიზნესი-სხვა	N
63	E	სახელმწიფო ქონების მიწოდება პრივატიზაციის პროგრამის მიხედვით	171.1(თ)	TE	მთავრობა	N
64	E	მუნიციპალიტეტისთვის დასახლებულ ტერიტორიაზე დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების გა	171.1(მ)	TE	მთავრობა	N
65	Z	სატრანსპორტო გადაზიდვისას გამოყენებული ცარიელი სატრანსპორტო საშუალებების (მათ შორის, კონტეინერებისა	172.4(ი)	TE	ბიზნესი-სხვა	N
66	E	სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში შესრულებული უნივერსალური საფოსტო მომსახ	170.1(ო)-(ჰ)	TE	მთავრობა	N

TE -საგადასახადო დანახარჯი, E - ჩათვლის უფლებით, Z - გარეშე, N=არასტრუქტურული, R დღგ-ის დაბრუნება


თავი III. მთლიანი შეფასებული საგადასახადო დანახარჯები საქართველოსთვის

ანგარიშში შეფასებულია საგადასახადო დანახარჯები საქართველოსთვის 2018-2025 წლებში (გრაფიკი 1). მთლიანი შეფასებული საგადასახადო დანახარჯები 2025 წელს გაიზარდა ნომინალურ გამოსახულებაში, ხოლო მშპ-სთან მიმართებით შემცირებულია. 2025 წელს მან 6,875 მლნ ლარი (მშპ-ს 6.6 პროცენტი) შეადგინა, რაც წინა წლების მაჩვენებლებზე მეტია ნომინალურ გამოსახულებაში, თუმცა ჩამორჩება 2019-2024 წლების მშპ-ს პროცენტულ მაჩვენებელს. მთლიანი შეფასებული საგადასახადო დანახარჯები თავდაპირველად 2019 წელს გაიზარდა 3,461 მლნ ლარამდე, ხოლო 2020 წელს 3,386 მლნ ლარამდე შემცირდა. ეს კლება არ დაფიქსირებულა მხოლოდ ნომინალურ გამოსახულებაში, არამედ - მშპ-სთან მიმართებაშიც (მშპ-ს 7.0 პროცენტიდან 6.8 პროცენტამდე). ამის შემდეგ, 2021-2023 წლებში მთლიანი საგადასახადო დანახარჯები ჯერ გაიზარდა მშპ-ს 8.0 პროცენტამდე, შემდეგ კი შემცირდა - 7.7 პროცენტამდე და კვლავ შემცირდა მშპ-ს 7.3 პროცენტამდე. 2024-2025 წლების პერიოდში აღნიშნულმა მაჩვენებელმა კლება განაგრძო და 2025 წელს 6.57 პროცენტამდე შემცირდა.

გრაფიკი 1. მთლიანი შეფასებული საგადასახადო დანახარჯები, 2018-2025



წყარო: შემოსავლების სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება



წყარო: შემოსავლების სამსახური და სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება

ანგარიშში შეფასებული მთლიანი საგადასახადო დანახარჯები მოიცავს დამატებული ღირებულების, მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯებს. 2025 წელს დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო დანახარჯებმა მთლიანი საგადასახადო დანახარჯების 92 პროცენტი შეადგინა (მშპ-ს 6.06 პროცენტი), დარჩენილი დაახლოებით 8 პროცენტი კი (მშპ-ს 0.52 პროცენტი) მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯებს ეკუთვნის. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯები შემცირდა წინა წელთან შედარებით

(მშპ-ს 0.87 პროცენტიდან 0.56 პროცენტამდე), მაშინ როდესაც დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო დანახარჯები, ისევე, როგორც მთლიანი საგადასახადო დანახარჯები, გაიზარდა. 2020 წელს კი მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯები გაიზარდა 2019 წელთან შედარებით (მშპ-ს 0.56 პროცენტიდან 0.61 პროცენტამდე), მაშინ როდესაც დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო დანახარჯები, ისევე, როგორც მთლიანი საგადასახადო დანახარჯები, შემცირდა. 2021 წელს მთლიანად შეფასებული საგადასახადო დანახარჯები გაიზარდა, ძირითადად დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო დანახარჯების ზრდის გამო, ხოლო 2022 წელს გაიზარდა როგორც დამატებული ღირებულების გადასახადის, ასევე - მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯები (აბსოლუტურ სიდიდეში). 2023-2025 წლებში შეფასებული მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო დანახარჯები აღემატება 2022 წლის დონეს და 2025 წლისათვის 540 მლნ ლარი შეადგინა, თუმცა მშპ-ს პროცენტულად უმნიშვნელოდ შემცირდა (2022 წელთან შედარებით). დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო დანახარჯები კი 6,335 მლნ ლარამდე გაიზარდა, მშპ-ს პროცენტულად კი 6.06 პროცენტამდე შემცირდა [დეტალური ინფორმაციისთვის იხ. TER, გვ 10]. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში წარმოდგენილი მონაცემები მცირედით შესაძლოა განსხვავდებოდეს წინა წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში (TER) არსებული მონაცემებისგან, დაზუსტებული და განახლებული მონაცემების გამოყენების გამო.

III.a მოგების და საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯები

მოცემულ ანგარიშში შეფასებულია მოგების და საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯები შემდეგი გადასახადებისთვის - ძველი მოგების გადასახადი (Old CIT), განაწილებული მოგების გადასახადი (ესტონური მოდელი) (DPT), საშემოსავლო გადასახადი (PIT) და სხვა მოგებისა და საშემოსავლო გადასახადები [დეტალური ინფორმაციისთვის იხ. TER, გვ 24].

წინამდებარე ანგარიშში საშემოსავლო და მოგების საგადასახადო დანახარჯები (ITE) შეფასებულია, როგორც მათი ბენჩმარკიდან გადახრა, 2018-2025 წლებისათვის (ცხრილი 3). აღნიშნულ ანგარიშში მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯები ძირითადად დაკავშირებულია საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯთან (მშპ-ს 0.31 პროცენტი საშუალოდ 2018-2025 წლებში) და მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯთან (2018-2025 წლებში საშუალოდ მშპ-ს 0.09 პროცენტი და 0.16 პროცენტი, განაწილებული მოგებისა და ძველი მოგების გადასახადისათვის, შესაბამისად). სხვა საგადასახადო დანახარჯები (როგორიცაა მცირე ბიზნესის სტატუსთან დაკავშირებული საგადასახადო დანახარჯები) 2018-2025 წლებში ძირითადად მშპ-ს 0.03 პროცენტის ფარგლებშია და შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანია.

ცხრილი 3. მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების შეფასებული საგადასახადო დანახარჯები, 2018-2025 წლები

ცხრილი 3.a. მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების შეფასებული საგადასახადო დანახარჯები, მლნ ლარი და %-ულად მშპ-სთან

დაკავშირებულია ცხრილ 1-თან	დებულება	აღწერა | წელი	მლნ ლარი								%-ულად მშპ-სთან							
			2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
		I. საშემოსავლო:																
42,43,44	81.2, 81.3	შემოსავალი აქტივის გაყიდვიდან ან გაქირავებიდან, სადაც:	7.38	6.48	5.85	6.76	10.29	13.72	9.15	10.11	0.02	0.01	0.01	0.01	0.01	0.02	0.01	0.01
42,43,44	81.2, 81.3	აქტივის გაყიდვა	2.43	1.81	1.34	1.69	3.50	4.94	4.30	4.04	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.01	0.00	0.00
42,43,44	81.2, 81.3	აქტივის გაქირავება	4.94	4.66	4.50	5.07	6.79	8.78	4.85	6.06	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.00	0.01
მით. დებულება 82.1	82.1 (ნარჩენ.)	მუხლი 82, ნაწილი 1 (სხვადასხვა)	102.81	100.79	88.04	160.81	158.94	142.05	121.23	196.43	0.23	0.20	0.18	0.26	0.22	0.18	0.13	0.19
მით. დებულება 82.2	82.2	მუხლი 82, ნაწილი 2 (სხვადასხვა)	3.53	2.69	2.67	2.98	3.02	2.60	2.37	2.28	0.01	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
21	82.1 (ძ)	შემოსავალი ელექტრონულ ფორმაში ორგანიზებული აზარტული თამაშებიდან	0.26	0.15	0.10	0.13	0.16	0.15	0.36	0.29	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
19	86	მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი	51.51	18.13	16.55	19.22	20.23	20.40	21.45	25.26	0.11	0.04	0.03	0.03	0.03	0.03	0.02	0.02
5	131.5	საპროცენტო შემოსავალი ლიცენზირებული საფინანსო ინსტიტუტიდან	21.04	23.88	29.68	31.66	37.40	49.16	62.83	73.70	0.05	0.05	0.06	0.05	0.05	0.06	0.07	0.07
4	82.1(ფ)	მემორანდუმი: რეზიდენტების შემოსავალი უცხოეთიდან	7.82	5.67	7.06	74.22	46.13	84.44	82.89	69.29	0.02	0.01	0.01	0.12	0.06	0.10	0.09	0.07
		ჯამი, საშემოსავლო (მემორანდუმის გარდა)	186.52	152.11	142.88	221.56	230.04	228.08	217.39	308.06	0.41	0.31	0.29	0.37	0.32	0.28	0.23	0.29
		II. შემოსავალი მოგებიდან:																
მით. დებულება 99	99	**II.ა. განაწილებული მოგების გადასახადი (DPT), სადაც:**	31.59	26.61	34.97	47.05	67.94	86.10	119.46	85.71	0.07	0.05	0.07	0.08	0.09	0.11	0.13	0.08
	n.a.	განაწილებული მოგება, სადაც:	24.62	20.73	27.25	36.66	52.94	67.09	93.09	66.79	0.05	0.04	0.05	0.06	0.07	0.08	0.10	0.06
15	99.1 (ღ), 82.1.3[3]	საწარმოები მაღალმთიან დასახლებაში	0.64	0.83	0.97	0.59	1.03	1.06	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
8	99.1 (ქ)	ვირტუალური ზონები	0.85	3.63	4.57	5.56	9.10	9.44	10.05	5.60	0.00	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.00
7.3	99.1 (ნ)	თავისუფალი ინდუსტრიული ზონები	0.04	0.10	0.37	0.27	0.54	0.95	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
12	99.1(მ[1]), (მ[2]), (მ[3])	საერთაშორისო კომპანიები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
9	99.1 (რ)	ტურისტული ორგანიზაციები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
	n.a.	სხვა, არასპეციალური რეჟიმი	23.09	16.17	21.34	30.24	42.27	55.64	83.04	61.19	0.05	0.03	0.04	0.05	0.06	0.07	0.09	0.06
	n.a.	დივიდენდები, სადაც	6.97	5.87	7.72	10.39	15.00	19.01	26.38	18.92	0.01	0.01	0.02	0.02	0.02	0.02	0.03	0.02
15	99.1 (ღ), 82.1.3[3]	საწარმოები მაღალმთიან დასახლებაში	0.18	0.23	0.27	0.17	0.29	0.30	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
8	99.1 (ქ)	ვირტუალური ზონები	0.24	1.03	1.30	1.58	2.58	2.67	2.85	1.59	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
7.3	99.1 (ნ)	თავისუფალი ინდუსტრიული ზონები	0.01	0.03	0.10	0.08	0.15	0.27	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
12	99.1(მ[1]), (მ[2]), (მ[3])	საერთაშორისო კომპანიები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
9	99.1 (რ)	ტურისტული ორგანიზაციები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
	n.a.	სხვა, არასპეციალური რეჟიმი	6.54	4.58	6.05	8.56	11.98	15.77	23.53	17.33	0.01	0.01	0.01	0.01	0.02	0.02	0.03	0.02
	სხვადასხვა	**II.ბ. მველი მოგების გადასახადის (CIT) რეჟიმი, სადაც:**	162.48	89.10	112.32	48.28	73.02	85.02	91.65	107.83	0.36	0.18	0.23	0.08	0.10	0.10	0.10	0.10
	n.a.	საწარმოები მაღალმთიან დასახლებაში	0.08	0.04	0.00	0.01	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
	n.a.	ვირტუალური ზონები	0.06	0.06	0.09	0.08	0.00	0.00	0.00	0.07	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
	n.a.	თავისუფალი ინდუსტრიული ზონები	0.97	0.22	0.06	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
	n.a.	სხვა, არასპეციალური რეჟიმი	161.37	88.78	112.17	48.19	73.02	85.02	91.65	107.76	0.36	0.18	0.23	0.08	0.10	0.10	0.10	0.10
9	99.1 (რ)	მემორანდუმი: საწარმოები ტურისტულ ზონაში	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
		ჯამი, შემოსავალი მოგებიდან (მემორანდუმის გარდა)	194.07	115.71	147.29	95.33	140.96	171.12	211.11	193.54	0.43	0.23	0.30	0.16	0.19	0.21	0.23	0.19
		III. სხვა:																
50	309.16	ტოტალიზატორის ფსონები ელექტრონულ ფორმაში	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	1.00	2.00
45	90.1, 90.2	მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი, სადაც	1.90	5.70	5.91	8.55	15.22	22.65	27.77	27.76	0.00	0.01	0.01	0.01	0.02	0.03	0.03	0.03
45.1	90.1	1%-იანი გადასახადი	1.97	5.95	6.34	9.49	17.31	25.78	32.14	33.36	0.00	0.01	0.01	0.02	0.02	0.03	0.03	0.03
45.2	90.2	3%-იანი გადასახადი	-0.07	-0.24	-0.43	-0.94	-2.09	-3.13	-4.37	-5.60	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	-0.01
46	95[3](ა)-(ზ)	ერთჯერადი საგადასახადო რეჟიმი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
55	112.1	აქტივების მთლიანი ამორტიზაცია: საიდანაც:	9.41	7.60	5.83	6.91	7.98	10.29	8.20	10.76	0.02	0.02	0.01	0.01	0.01	0.01	0.009	0.010
		სამემოსავლო	2.38	2.56	1.43	2.75	2.82	3.83	3.51	4.17	0.01	0.01	0.00	0.00	0.00	0.00	0.004	0.004
		შემოსავალი მოგებიდან	7.03	5.04	4.40	4.16	5.16	6.46	4.70	6.59	0.02	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.005	0.006
		ჯამი, სხვა	11.32	13.31	11.74	15.46	23.20	32.93	35.97	38.53	0.02	0.03	0.02	0.03	0.03	0.04	0.04	0.04
		მთლიანი ჯამი (I + II + III)	**391.91**	**281.13**	**301.91**	**332.35**	**394.19**	**432.13**	**464.47**	**540.13**	**0.87**	**0.56**	**0.61**	**0.55**	**0.54**	**0.53**	**0.50**	**0.52**

ცხრილი 3.b. მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების შეფასებული საგადასახადო დანახარჯები, %-ულად საგადასახადო შემოსავლებთან და მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო შემოსავლებთან

დაკავშირებულია ცხრილ 1-თან	დებულება	აღწერა | წელი	%-ულად საგადასახადო შემოსავლებთან								%-ულად სამშემოსავლო და მოგების საგადასახადო შემოსავლებთან							
			2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
		I. საშემოსავლო:																
42,43,44	81.2, 81.3	შემოსავლი აქტივის გაყიდვიდან ან გაქირავებიდან, სადაც:	0.07	0.05	0.05	0.05	0.06	0.07	0.04	0.04	0.19	0.15	0.14	0.14	0.15	0.17	0.09	0.09
42,43,44	81.2, 81.3	აქტივის გაყიდვა	0.02	0.01	0.01	0.01	0.02	0.03	0.02	0.02	0.06	0.04	0.03	0.04	0.05	0.06	0.04	0.04
42,43,44	81.2, 81.3	აქტივის გაქირავება	0.05	0.04	0.04	0.04	0.04	0.04	0.02	0.02	0.12	0.11	0.11	0.11	0.10	0.11	0.05	0.05
მით. დებულება 82.1	82.1 (ნარჩენ.)	მუხლი 82, ნაწილი 1 (სხვადასხვა)	0.98	0.85	0.80	1.19	0.92	0.72	0.52	0.78	2.58	2.32	2.07	3.36	2.28	1.76	1.17	1.76
მით. დებულება 82.2	82.2	მუხლი 82, ნაწილი 2 (სხვადასხვა)	0.03	0.02	0.02	0.02	0.02	0.01	0.01	0.01	0.09	0.06	0.06	0.06	0.04	0.03	0.02	0.02
21	82.1 (ժ)	შემოსავალი ელექტრონულ ფორმაში ორგანიზებული აზარტული თამაშებიდან	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.01	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
19	86	მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი	0.49	0.15	0.15	0.14	0.12	0.10	0.09	0.10	1.29	0.42	0.39	0.40	0.29	0.25	0.21	0.23
5	131.5	საპროცენტო შემოსავალი ლიცენზირებული საფინანსო ინსტიტუტიდან	0.20	0.20	0.27	0.23	0.22	0.25	0.27	0.29	0.53	0.55	0.70	0.66	0.54	0.61	0.61	0.66
4	82.1(ფ)	მემორანდუმი: რეზიდენტების შემოსავალი უცხოეთიდან	0.08	0.05	0.06	0.55	0.27	0.43	0.36	0.27	# 0.20	0.13	0.17	1.55	0.66	1.04	0.80	0.62
		ჯამი, საშემოსავლო (მემორანდუმის გარდა)	1.78	1.28	1.30	1.63	1.33	1.16	0.93	1.22	4.68	3.50	3.37	4.62	3.30	2.82	2.10	2.76
		II. შემოსავალი მოგებიდან:																
მით. დებულება 99	99	**II.ა. განაწილებული მოგების გადასახადი (DPT), სადაც:**	0.30	0.22	0.32	0.35	0.39	0.44	0.51	0.34	0.79	0.61	0.82	0.98	0.98	1.06	1.15	0.77
	n.a.	განაწილებული მოგება, სადაც:	0.24	0.17	0.25	0.27	0.31	0.34	0.40	0.26	0.62	0.48	0.64	0.76	0.76	0.83	0.90	0.60
15	99.1 (ღ), 82.1.3[3]	საწარმოები მაღალმთიან დასახლებაში	0.01	0.01	0.01	0.00	0.01	0.00	0.00	0.00	0.02	0.02	0.02	0.01	0.01	0.01	0.00	0.00
8	99.1 (ყ)	ვირტუალური ზონები	0.01	0.03	0.04	0.04	0.05	0.05	0.04	0.02	0.02	0.08	0.11	0.12	0.13	0.12	0.10	0.05
7.3	99.1 (ნ)	თავისუფალი ინდუსტრიული ზონები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.01	0.01	0.01	0.01	0.00	0.00
12	99.1(მ[1]), (მ[2]), (მ[3])	საერთაშორისო კომპანიები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
9	99.1 (რ)	ტურისტული ორგანიზაციები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
	n.a.	სხვა, არასპეციალური რეჟიმი	0.22	0.14	0.19	0.22	0.24	0.28	0.36	0.24	0.58	0.37	0.50	0.63	0.61	0.69	0.80	0.55
	n.a.	დივიდენდები, სადაც	0.07	0.05	0.07	0.08	0.09	0.10	0.11	0.08	0.17	0.14	0.18	0.22	0.22	0.23	0.25	0.17
15	99.1 (ღ), 82.1.3[3]	საწარმოები მაღალმთიან დასახლებაში	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.01	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
8	99.1 (ყ)	ვირტუალური ზონები	0.00	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.01	0.02	0.03	0.03	0.04	0.03	0.03	0.01
7.3	99.1 (ნ)	თავისუფალი ინდუსტრიული ზონები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
12	99.1(მ[1]), (მ[2]), (მ[3])	საერთაშორისო კომპანიები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
9	99.1 (რ)	ტურისტული ორგანიზაციები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
n.a.		სხვა, არასპეციალური რეჟიმი	0.06	0.04	0.06	0.06	0.07	0.08	0.10	0.07	0.16	0.11	0.14	0.18	0.17	0.19	0.23	0.16
	სხვადასხვა	**II.ბ. ძველი მოგების გადასახადის (CIT) რეჟიმი, სადაც:**	1.56	0.75	1.02	0.36	0.42	0.43	0.39	0.43	4.08	2.05	2.64	1.01	1.05	1.05	0.88	0.97
	n.a.	საწარმოები მაღალმთიან დასახლებაში	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
n.a.		ვირტუალური ზონები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
n.a.		თავისუფალი ინდუსტრიული ზონები	0.01	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.02	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
n.a.		სხვა, არასპეციალური რეჟიმი	1.54	0.75	1.02	0.36	0.42	0.43	0.39	0.43	4.05	2.04	2.64	1.01	1.05	1.05	0.88	0.97
9	99.1 (რ)	მემორანდუმი: საწარმოები ტურისტულ ზონაში	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
		ჯამი, შემოსავალი მოგებიდან (მემორანდუმის გარდა)	1.86	0.97	1.34	0.70	0.81	0.87	0.91	0.76	4.87	2.66	3.47	1.99	2.02	2.12	2.04	1.74
		III. სხვა:																
50	309.16	ტოტალიზატორის ფსონები ელექტრონულ ფორმაში	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	1.00	2.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	1.00	2.00
45	90.1, 90.2	მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი, სადაც	0.02	0.05	0.05	0.06	0.09	0.11	0.12	0.11	0.05	0.13	0.14	0.18	0.22	0.28	0.27	0.25
45.1	90.1	1%-იანი გადასახადი	0.02	0.05	0.06	0.07	0.10	0.13	0.14	0.13	0.05	0.14	0.15	0.20	0.25	0.32	0.31	0.30
45.2	90.2	3%-იანი გადასახადი	0.00	0.00	0.00	-0.01	-0.01	-0.02	-0.02	-0.02	0.00	-0.01	-0.01	-0.02	-0.03	-0.04	-0.04	-0.05
46	95[3](ა)-(ბ)	ერთჯერადი საგადასახადო რეჟიმი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
55	112.1	აქტივების მთლიანი ამორტიზაცია: საიდანაც:	0.09	0.06	0.05	0.05	0.05	0.05	0.04	0.04	0.24	0.17	0.14	0.14	0.11	0.13	0.079	0.097
		სამეშოსავლო	0.02	0.02	0.01	0.02	0.02	0.02	0.02	0.02	0.06	0.06	0.03	0.06	0.04	0.05	0.03	0.04
		შემოსავალი მოგებიდან	0.07	0.04	0.04	0.03	0.03	0.03	0.02	0.03	0.18	0.12	0.10	0.09	0.07	0.08	0.05	0.06
		ჯამი, სხვა	0.11	0.11	0.11	0.11	0.13	0.17	0.15	0.15	0.28	0.31	0.28	0.32	0.33	0.41	0.35	0.35
		მთლიანი ჯამი (I + II + III)	**3.75**	**2.37**	**2.75**	**2.45**	**2.28**	**2.19**	**2.00**	**2.14**	**9.84**	**6.46**	**7.11**	**6.94**	**5.66**	**5.34**	**4.48**	**4.85**


წყარო: შემოსავლების სამსახური და სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება

მთლიანი შეფასებული მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო დანახარჯი 2025 წელს 540 მლნ ლარი იყო, რაც წინა წელთან შედარებით გაზრდილია. ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საშემოსავლო გადასახადმა. აღსანიშნავია, რომ განაწილებული მოგების გადასახადმა უარყოფითი წვლილი შეიტანა. შეფასებული მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო დანახარჯი 2018 წლის 392 მლნ ლარიდან 2019 წელს 281 მლნ ლარამდე შემცირდა (ძირითადად მოგების ძველი გადასახადის გამო, რაც 162-დან 89 მლნ ლარამდე შემცირდა), 2020 წელს 302 მლნ-მდე გაიზარდა, ხოლო 2021-2022 წლებში კვლავ გაიზარდა და შესაბამისად 332 მლნ ლარი და 394 მლნ ლარი შეადგინა. 2021 წლის აღნიშნული ზრდა განპირობებული იყო საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯების ზრდით (143

მლნ ლარიდან 222 მლნ ლარამდე), ხოლო 2022 წლის ზრდა მოგების გადასახადის ზრდით იყო გამოწვეული (95 მლნ ლარიდან 141 მლნ ლარამდე). 2023 წელს შეფასებული მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო დანახარჯმა 432 მლნ ლარი შეადგინა, ცვლილება კი ძირითადად მოგების საგადასახადო დანახარჯმა განაპირობა. რაც შეეხება 2024 წელს, დაფიქსირდა მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო დანახარჯის ზრდა და 464 მლნ ლარს მიაღწია, რაც, წინა წლის მსგავსად, განაწილებული მოგების საგადასახადო დანახარჯის ზრდით იყო გამოწვეული.

მთლიანმა მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯებმა 2025 წელს მშპ-ს 0.52 პროცენტი შეადგინა. 2018 წელს აღნიშნული მაჩვენებელი მშპ-ს 0.87 პროცენტს შეადგენდა (რაც ძირითადად განპირობებული იყო საშემოსავლო და ძველი მოგების გადასახადით), ხოლო 2019 წელს აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაეცა 0.56 პროცენტამდე და შემდგომ 2020 წელს გაიზარდა და მიაღწია 0.61 პროცენტს (გრაფიკი 2). 2021-2022 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი მცირედით შემცირდა 0.54 პროცენტამდე. აღნიშნული შემცირება გაგრძელდა 2023-2024 წლებშიც და საბოლოოდ 0.5 პროცენტზე დაფიქსირდა. 2025 წლისთვის საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯები გაზრდილია (მშპ-ს 0.23 პროცენტიდან 0.29 პროცენტამდე) წინა წელთან შედარებით, ხოლო ძველი მოგების გადასახადთან დაკავშირებული საგადასახადო დანახარჯები 2023-2025 წლების პერიოდისთვის მშპ-ს 0.10 პროცენტის დონეზე ნარჩუნდება. განაწილებული მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯები კი 0.13 პროცენტიდან 0.08 პროცენტამდე შემცირდა 2025 წელს. ამრიგად, საშემოსავლო საგადასახადო დანახარჯების გაზრდის შედეგად გაიზარდა მთლიანი მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯები. რაც შეეხება განაწილებული მოგების გადასახადს, მისი კლება განაპირობა აზარტული თამაშებისა და საბითუმო და საცალო ვაჭრობის სექტორებში საგადასახადო დანახარჯების შემცირებამ 2025 წელს.

გრაფიკი 2. შეფასებული მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო დანახარჯი, 2018-2025




წყარო: შემოსავლების სამსახური და სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება


III.a.1 ძველი მოგების გადასახადი (Old CIT)

მთლიანი საგადასახადო დანახარჯი ძველი მოგების გადასახადისთვის 2025 წელს 107.8 მლნ ლარი იყო (მშპ-ს 0.1 პროცენტი). 2018-2024 წლებში აღნიშნულმა მაჩვენებელმა 162.5, 89.1, 112.3, 48.3, 73.0, 85.0 და 91.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც, შესაბამისად, მშპ-ს 0.36, 0.18, 0.23, 0.08, 0.1, 0.1 და 0.1 პროცენტს გულისხმობს. 2025 წელს კი მოცემული მაჩვენებელი ნომინალში გაიზარდა, ხოლო მშპ-სთან მიმართებაში უცვლელი დარჩა და მშპ-ს 0.1 პროცენტს გაუტოლდა (გრაფიკი 3).

გრაფიკი 3. შეფასებული ძველი მოგების (Old CIT) საგადასახადო დანახარჯები გადამხდელთა ზომების მიხედვით, 2018-2025



წყარო: შემოსავლების სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება



წყარო: შემოსავლების სამსახური და სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება


ძველი მოგების გადასახადი 2018-2025 წლებისთვის ასევე გაანალიზებულია გადამხდელთა კატეგორიების მიხედვით. გადამხდელთა კატეგორიები განსაზღვრულია შემოსავლების სამსახურის უფროსის N29355 ბრძანებით - „გადასახადის გადამხდელისთვის სიდიდის შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის, გაუქმებისა და აღრიცხვის წესის შესახებ“ შიდა ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

2025 წელს ძველი მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯებში მსხვილი ზომის გადამხდელთა საგადასახადო დანახარჯების მოცულობა 84.8 მლნ ლარი იყო (მშპ-ს 0.08 პროცენტი), რაც აღემატება 2018-2024 წლების მაჩვენებელს (საშუალოდ 48.3 მლნ ლარი, მშპ-ს 0.08 პროცენტი). 2025 წელს მცირე და საშუალო გადამხდელთა საგადასახადო დანახარჯები კი ჯამურად 23.1 მლნ ლარს შეადგენს, რაც მშპ-ს 0.02 პროცენტია და ძირითადად საშუალო გადამხდელთა საგადასახადო დანახარჯებისგან შედგება. 2018 წელს ძველი მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯებში ყველაზე დიდი წილი (მშპ-ს 0.15 პროცენტი) საშუალო ზომის გადასახადის გადამხდელებს ჰქონდათ, მათი წილი მნიშვნელოვანი იყო 2019-2020 წლებშიც. გადასახადების გადამხდელების ზომის მიხედვით ეს სტრუქტურა შეიცვალა 2021-2022 წლებში და მსხვილი ზომის გადამხდელებს აქვთ ძირითადი წილი. 2019 წლისთვის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო დანახარჯების მოცულობა გაიზარდა 44 მლნ-დან 52 მლნ ლარამდე, რამაც მშპ-ს 0.1 პროცენტი შეადგინა. ამავე პერიოდში მცირე გადამხდელთა წილი მშპ-ს 0.11 პროცენტიდან 0.007 პროცენტამდე შემცირდა, ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა საშუალო ზომის გადამხდელთა წილი და მშპ-ს 0.07 პროცენტი შეადგინა. 2020 წელს საშუალო ზომის გადამხდელებს კვლავ ყველაზე დიდი წილი ჰქონდათ, რამაც 77.9 მლნ ლარი და მშპ-ს 0.16 პროცენტი შეადგინა, ამავე დროს კი მსხვილ გადამხდელთა წილი მშპ-ს 0.06 პროცენტამდე შემცირდა. 2021 წლიდან გადასახადების გადამხდელების წილები კვლავ შეიცვალა და მსხვილ გადამხდელებს ყველაზე დიდი წვლილი უკავიათ, მას

მოჰყვება საშუალო ზომის გადამხდელთა წილი, ხოლო ყველაზე მცირე წილი დაფიქსირდა მცირე გადასახადების გადამხდელთა საგადასახადო დანახარჯებში. რაც შეეხება 2022-2025 წლების პერიოდს, მსხვილი ზომის გადამხდელთა წილი კვლავ მკვეთრად აღემატება საშუალო გადამხდელთა წილს და 2025 წელს 0.08 პროცენტს შეადგენდა, ხოლო საშუალო გადამხდელთა წილი იყო 0.02 პროცენტი.


ძველი მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯები ასევე გაანალიზებულია NACE-2 სექტორების მიხედვით. 2019-2025 წლებში ძველი მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯებში ტოპ სექტორები არც თუ ისე დივერსიფიცირებული იყო, რადგან დანახარჯების ძირითადი ნაწილი სოციალურ და საფინანსო საქმიანობას ეკავა. მაგალითად, ძველი მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯების დაახლოებით 79 პროცენტი საფინანსო საქმიანობას ეკავა 2025 წელს (რაც გასულ წელს 71 პროცენტი იყო), ხოლო სოციალური საქმიანობა 18 პროცენტს შეადგენდა (გასული წლის 24 პროცენტიანი წვლილის შემდეგ). აღსანიშნავია, რომ 2018 წელს ტოპ სექტორები საკმაოდ დივერსიფიცირებული იყო და ძველი მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯებში შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი: საფინანსო საქმიანობა დაზღვევისა და საპენსიო ფონდის გარეშე (27 პროცენტი), სოციალური საქმიანობა (10 პროცენტი), განათლება (7 პროცენტი), მშენებლობა (5 პროცენტი), პროგრამების შექმნის და ტელერადიომაუწყებლობის საქმიანობები (4 პროცენტი). 2019 წლიდან ეს სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა: საფინანსო საქმიანობა დაზღვევისა და საპენსიო ფონდის გარეშე (59 პროცენტი) და სოციალური საქმიანობა (34 პროცენტი) ორზე მეტჯერ გაიზარდა. 2020 წელს სოციალურმა საქმიანობამ მთლიანი ძველი მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯების 67 პროცენტს მიაღწია, ხოლო საფინანსო საქმიანობის წილი 28 პროცენტზე დაფიქსირდა. 2021-2024 წლებში საფინანსო საქმიანობა საგრძნობლად გაიზარდა და შესაბამისად წლების მიხედვით 65, 67, 77 და 71 პროცენტი შეადგინა, მას კი მოსდევს სოციალური საქმიანობა 26, 23, 18 და 24 პროცენტით, შემდეგი ტოპ სექტორი კი განათლებაა 5, 2, 3 და 2 პროცენტით. როგორც გრაფიკზე ვხედავთ, 2025 წელს კვლავ ფინანსური სექტორის წვლილი გაცილებით მაღალია სოციალური სექტორის საგადასახადო დანახარჯებთან შედარებით (იხ. გრაფიკი 4).

გრაფიკი 4. შეფასებული ძველი მოგების გადასახადის (Old CIT) საგადასახადო დანახარჯები სექტორების მიხედვით, 2018-2025



წყარო: შემოსავლების სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება

გრაფიკი 5. შეფასებული ძველი მოგების გადასახადის (Old CIT) საგადასახადო დანახარჯები სექტორების მიხედვით, 2018-2025




ძველი მოგების საგადასახადო დანახარჯების ანალიზი შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმების მიხედვით გვიჩვენებს, რომ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებს, მაღალმთიან დასახლებებს, საერთაშორისო კომპანიებსა და ვირტუალურ ზონებს არ ჰქონიათ შეფასების პერიოდში მნიშვნელოვანი საგადასახადო დანახარჯები.


III.a.2 განაწილებული მოგების გადასახადი (ესტონური მოდელი) (DPT)

მთლიანი შეფასებული განაწილებული მოგების (DPT) გადასახადის საგადასახადო დანახარჯი 2025 წელს 85.7 მლნ ლარი (მშპ-ს 0.08 პროცენტი) იყო, რაც 2018-2022 წლების პერიოდთან შედარებით მაღალია, ხოლო 2023-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებზე დაბალია. 2018 წელს ამ საგადასახადო დანახარჯმა 31.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2019 წელს 26.6 მლნ ლარამდე შემცირდა, შემდგომ წლებში კი დაიწყო გაზრდა და 2020 წელს 35.0, 2021 წელს 47.1 მლნ, 2022 წელს 67.9, 2023 წელს 86.1, ხოლო 2024 წელს 119.5 მლნ ლარამდე გაიზარდა. რაც შეეხება 2025 წელს, აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა და შეადგინა 85.7 მლნ ლარი, რაც დაახლოებით მშპ-ს 0.08 პროცენტი იყო.

გრაფიკი 6. შეფასებული განაწილებული მოგების (DPT) საგადასახადო დანახარჯები, სახეებისა და ზომების მიხედვით, 2018-2025



წყარო: შემოსავლების სამსახური და სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება




ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება

წყარო: შემოსავლების სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება

მთლიანი შეფასებული განაწილებული მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯები წარმოადგენს მოგებისა და დივიდენდების საგადასახადო დანახარჯების ჯამს. 2025 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 85.7 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც მოგებიდან მიღებული საგადასახადო დანახარჯები იყო 66.8 მლნ ლარი, ხოლო დივიდენდების საგადასახადო დანახარჯებმა კი 18.9 მლნ ლარს მიაღწია. (შესაბამისად მშპ-ს 0.06 და 0.02 პროცენტი,). მთლიანი შეფასებული განაწილებული მოგების გადასახადის საგადასახადო

დანახარჯები 2018-2025 წლებში მშპ-ს 0.05 პროცენტიდან 0.13 პროცენტამდე მერყეობდა (გრაფიკი 6), სადაც 2023 წლამდე მსხვილი და საშუალო ზომის გადამხდელთა წილი მთლიან საგადასახადო დანახარჯებში თითქმის ტოლია, ხოლო 2023 წლიდან საშუალო ზომის გადამხდელთა წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2021-2022 წლებში საშუალო ზომის გადამხდელთა წილი მშპ-ს 0.04 პროცენტია, 2023 წელს 0.06-მდე იზრდება, ხოლო 2024 წელს კი 0.09 პროცენტს მიაღწია. რაც შეეხება 2025 წელს, მისი მნიშნელობა შემცირდა და კვლავ 0.06 პროცენტი იყო. მსხვილი ზომის გადამხდელების წილიც 2018-2021 წლებში მშპ-ს 0.02-0.03 პროცენტის ფარგლებშია, 2022-2023 წლებში მშპ-ს 0.04 პროცენტამდე გაიზარდა. 2024 წელს მისი წილი 0.03 პროცენტზე დაფიქსირდა, ხოლო 2025 წელს კი 0.02 პროცენტი იყო. რაც შეეხება მცირე გადამხდელების წილს, 2018-2021 წლებში თითქმის ტოლია და მშპ-ს მხოლოდ 0.02 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. რაც შეეხება 2022-2024 წლების პერიოდს, მისი მნიშვნელობა 0.01 პროცენტი იყო. 2025 წელს კი ის კვლავ შემცირდა და 0.003 პროცენტი შეადგინა.

გრაფიკი 7. შეფასებული განაწილებული მოგების (DPT) საგადასახადო დანახარჯები სექტორების მიხედვით, 2018-2025



წყარო: შემოსავლების სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება

სექტორების წვლილი შეფასებული განაწილებული მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯებში წლების განმავლობაში შეიცვალა. 2018-2019 წლებში მაღალი იყო აზარტული თამაშების წილი, 2020-2021 წლებში საბითუმო და საცალო ვაჭრობის წილი, ხოლო 2022-2023 წლებში კვლავ აზარტულ თამაშებს უკავია ყველაზე მაღალი წილი აღნიშნულ საგადასახადო დანახარჯებში. აღსანიშნავია, რომ 2024-2025 წლების პერიოდში საფინანსო მომსახურების საქმიანობების წილმა ყველაზე მაღალი წილი დაიკავა განაწილებული მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯებში (შესაბამისად 32 და 44 პროცენტი). 2025 წლის განაწილებული მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯებში საფინანსო საქმიანობის შემდეგ მაღალი


წვლილი უკავია შემდეგ სექტორებს: აზარტული თამაშები (13 პროცენტი) და საბითუმო და საცალო ვაჭრობა (11 პროცენტი), მშენებლობა (6 პროცენტი) კომპიუტერული პროგრამირება (5 პროცენტი) და საგამომცემლო საქმიანობა (4 პროცენტი) (გრაფიკი 7). 2018 წელს შემდეგმა სექტორებმა შეიტანა ყველაზე დიდი წვლილი მთლიან შეფასებულ განაწილებული მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯებში: აზარტული თამაშები (28 პროცენტი), საბითუმო და საცალო ვაჭრობა (13 პროცენტი), სასაწყობო საქმიანობა (12 პროცენტი), მშენებლობა (11 პროცენტი), სურსათით და სასმელით მომსახურება (10 პროცენტი). შემდგომ წლებში, აზარტული თამაშების წვლილის შემცირების პარალელურად გაიზარდა საბითუმო და საცალო ვაჭრობა და კომპიუტერული პროგრამირების სექტორების წვლილები, თუმცა 2021-2022 წლებში ორივე მათგანი მცირედით შემცირდა (კომპიუტერული პროგრამირების წვლილი 2023-2025 წლების პერიოდში შენარჩუნდა საშუალოდ 6 პროცენტზე) და დაფიქსირდა აზარტული თამაშების წვლილის მკვეთრი ზრდა (2021 წლის 10 პროცენტიდან 2022 წლის 38 პროცენტამდე). ხაზგასასმელია ასევე ის ფაქტიც, რომ 2024-2025 წლების პერიოდში შეინიშნებოდა საფინანსო მომსახურების სფეროს სწრაფი ზრდა განაწილებული მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯებში, რომლის წვლილიც 2023 წლის 9 პროცენტიდან 2025 წელს 44 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო აზარტული თამაშების წვლილი კვლავ შემცირდა და 2023 წლის 40 პროცენტის შემდეგ 2025 წელს 13 პროცენტზე დაფიქსირდა.

სხვადასხვა შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმების განხილვისას (როგორიცაა თავისუფალი ინდუსტრიული ზონები (FIZ), საერთაშორისო კომპანიები, ფარმაცევტული საწარმოები, ვირტუალური ზონები, მაღალმთიანი დასახლება, ტურისტული საწარმო) იკვეთება, რომ 2025 წელს საგადასახადო დანახარჯების უმეტესობა ვირტუალური ზონებიდან მოდის. 2018 წლიდან 2024 წლამდე ვირტუალური ზონების განაწილებული მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯები 1.1 მლნ ლარიდან 7.2 მლნ ლარამდე გაიზარდა და მშპ-ს 0.01 პროცენტის ფარგლებშია.

III.a.3 საშემოსავლო გადასახადი (PIT)

მთლიანი შეფასებული საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯი 2025 წელს 308.1 მლნ ლარი (მშპ-ს 0.29 პროცენტი) იყო, რაც აღემატება 2018-2024 წლების მაჩვენებლებს ნომინალურ გამოსახულებაში. ამასთან, აღნიშნული მაჩვენებელი მაღალია მშპ-ს პროცენტულად 2023-2024 წლებთან შედარებით, თუმცა ჩამოუვარდება 2018-2022 პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს. აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2018 წელს 186.5 მლნ ლარი (მშპ-ს 0.41 პროცენტი) შეადგინა. შემდგომ კი საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯმა შემცირება დაიწყო და 2019 წელს 152.1 მლნ ლარი, 2020 წელს კი 142.9 მლნ ლარი შეადგინა (შესაბამისად, მშპ-ს 0.31 და 0.29 პროცენტი). მომდევნო წლებში მოცემული მაჩვენებელი იზრდებოდა ნომინალურ გამოსახულებაში და 2021 წელს 221.6 მლნ ლარის, 2022 წელს 230.0 მლნ ლარის, 2023 წელს 228.1 მლნ ლარის, ხოლო 2024 წელს 217.4 მლნ ლარის (შესაბამისად მშპ-ს 0.37, 0.32, 0.28 და 0.23 პროცენტი) დონეზე დაფიქსირდა.


გრაფიკი 8. შეფასებული საშემოსავლო (PIT) საგადასახადო დანახარჯები დებულებების მიხედვით, 2018-2025



შენიშვნა: საპროცენტო შემოსავალი არ ითვალისწინებს საპროცენტო პარიტეტს, დათვლილია საშუალო ლარი-დოლარის კურსი თვის ბოლოდან შემდგომი თვის 15 რიცხვამდე, მოდიფიცირებულია ვალუტების დეკომპოზიციით GEL, USD, EUR და სხვა

საგადასახადო კოდექსის შესაბამისი დებულებების მიხედვით შეფასებული საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯები იძლევა ინფორმაციას, თუ რომელი შეღავათი რა ოდენობის დანახარჯთან არის დაკავშირებული (მაგალითად: შეღავათები აზარტული თამაშებიდან შემოსავალზე, აქტივებთან და საპროცენტო შემოსავალთან დაკავშირებული შეღავათები, შეღავათები მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის შემოსავალზე და ა.შ). ამ მუხლების წვლილი წლების განმავლობაში უმნიშვნელოდ შეიცვალა. ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი 2025 წელს შეიტანა შემდეგმა მუხლებმა: სხვადასხვა (მუხლი 82.1), საპროცენტო შემოსავალი (მუხლი 131.5), მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი (მუხლი 86), შემოსავალი აქტივების გაქირავებიდან (მუხლი 81.2, 81.3) და შემოსავალი აზარტული თამაშებიდან (მუხლი 82.1(z)) (გრაფიკი 8).

გრაფიკი 9. შეფასებული საშემოსავლო (PIT) საგადასახადო დანახარჯები დებულებების მიხედვით, 2018-2025



წყარო: შემოსავლების სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება

2018 წელს საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო დანახარჯებში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა შემდეგმა მუხლებმა: სხვადასხვა (მუხლი 82.1) - მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების საგადასახადო შემოსავლის 2.58 პროცენტი (მშპ-ს 0.23 პროცენტი), მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი (მუხლი 86) - მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების საგადასახადო შემოსავლის 1.29 პროცენტი (მშპ-ს 0.11 პროცენტი) და საპროცენტო შემოსავალი (მუხლი 131.5) - მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო შემოსავლის 0.53 პროცენტი (მშპ-ს 0.05 პროცენტი). რაც შეეხება 2025 წელს, საპროცენტო შემოსავალთან დაკავშირებული საგადასახადო დანახარჯები გაიზარდა ნომინალურ გამოსახულებაში და 73.7 მლნ ლარს მიაღწია, რამაც მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო შემოსავალთან მიმართებაში 0.66 პროცენტი შეადგინა, რაც მშპ-სთან თანაფარდობაში 0.07 პროცენტია. აღნიშნული დანახარჯი მშპ-სთან შეფარდებით 2018-2025 წლებში შედარებით მდგრადია და მშპ-ს 0.05-0.07 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. საპროცენტო შემოსავალთან დაკავშირებული საგადასახადო დანახარჯების შეფასებისთვის ფინანსთა სამინისტროს პირველ გამოქვეყნებულ ანგარიშში (TER) გამოყენებულია სხვადასხვა მიდგომა და თითოეული მიდგომისთვის ჩატარებულია სენსიტიურობის ანალიზი. შესაძლო მეთოდებიდან, საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასებისთვის შერჩეული

მეთოდი არ ითვალისწინებს საპროცენტო განაკვეთის პარიტეტს (IRP)[4] და გულისხმობს, რომ ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში არსებულ დეპოზიტებს განსხვავებული საპროცენტო განაკვეთები (და შესაბამისად, სხვადასხვა დონის რისკი) გააჩნიათ. ამასთან, დათვლილია თვის ბოლოდან შემდგომი თვის 15 რიცხვამდე საშუალო ლარი/დოლარის გაცვლითი კურსით და მოდიფიცირებულია ვალუტების დეკომპოზიციით (GEL, USD, EUR და სხვა)[5]. მიმდინარე ანგარიშში გამოყენებულია შერჩეული მეთოდი, სადაც არ არის გათვალისწინებული საპროცენტო პარიტეტი, კორექტირებულია გადასახადის გადახდის პერიოდითა და ვალუტების დეკომპოზიციით.


მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის (მუხლი 86) საგადასახადო დანახარჯებმა ცვლილება განიცადა 2025 წელს და 25.3 მლნ ლარი შეადგინა და მშპ-ს 0.02 პროცენტზე დაფიქსირდა, თუმცა 0.2 პროცენტამდე დაეცა მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო შემოსავალთან პროცენტულად. აღსანიშნავია, რომ მოცემული საგადასახადო დანახარჯი 2018 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო შემოსავლების 1.3 პროცენტიდან და 0.3 პროცენტის ფარგლებში იყო 2019-2024 წლებში (საშუალოდ მშპ-ს 0.03 პროცენტი). ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ 2019 წლის ვარდნამ მეტწილად გამოიწვია შეფასებული საშემოსავლო გადასახადის დანახარჯების შემცირება (გრაფიკი 9).

იურიდიული ფორმის მიხედვით შეფასებისას ჩანს, რომ ფიზიკური პირების წილი მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო დანახარჯებში სხვადასხვა მიმართულებით იცვლებოდა. 2018-2023 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი ხასიათდებოდა ზრდით და 2023 წელს მიაღწია 75 პროცენტს, ხოლო შემდგომ დაიწყო მისი კლება და 2025 წელს 55 პროცენტზე დაფიქსირდა (გრაფიკი 10).

[4] საპროცენტო განაკვეთის პარიტეტისას იგულისხმება, რომ ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში არსებული დეპოზიტების რისკიანობა არ განსხვავდება ერთმანეთისგან.

[5] იხილეთ TER, დანართი 5.

გრაფიკი 10. შეფასებული საშემოსავლო (PIT) საგადასახადო დანახარჯები იურიდიული ფორმის მიხედვით, 2018-2025




წყარო: შემოსავლების სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება

III.a.4 სხვა მოგებისა და საშემოსავლო გადასახადები

სხვა მოგებისა და საშემოსავლო გადასახადებიდან მიღებული მთლიანი შეფასებული საგადასახადო დანახარჯები მოიცავს აქტივების მთლიან ამორტიზაციას [იხ. TER, გვ 70]. აღნიშნული საგადასახადო დანახარჯი 2025 წელს 10.8 მლნ ლარს (მშპ-ს 0.01 პროცენტი) შეადგენს. 2018 წლის შემდეგ, მთლიანი მოცულობა შემცირდა 9.4 მლნ ლარიდან ჯერ 7.6 მლნ-მდე 2020 წელს 5.8 მლნ ლარამდე, ხოლო მომდევნო წლებში კი იზრდებოდა და 2021 წელს გაიზარდა 6.9 მლნ ლარამდე, 2022 წელს გაიზარდა 8.0 მლნ ლარამდე, 2023 წელს - 10.3 მილიონ ლარს მიაღწია, ხოლო 2024 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 8.2 მლნ ლარი შეადგინა. აქტივების მთლიანი ამორტიზაციის საგადასახადო დანახარჯები ძირითადად ძველი მოგების გადასახადის რეჟიმიდან მოდიოდა 2018-2025 წლებში და ძველი მოგების გადასახადს საშემოსავლო გადასახადზე მეტი წვლილი ჰქონდა აქტივების მთლიან ამორტიზაციაში აღნიშნულ პერიოდში.

გრაფიკი 11. შეფასებული სხვა მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო დანახარჯები - აქტივების ამორტიზაცია, 2018-2025



წყარო: შემოსავლების სამსახური და სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება

III.b დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო დანახარჯები

დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვანია, თუ როგორ მივუდგებით არაფორმალურ სექტორს. აღნიშნულ ანგარიშში არაფორმალური სექტორი არ არის გათვალისწინებული, თუმცა 2022 წელს ჩატარებული დღგ-ს სენსიტიურობის ანალიზის დროს განხილული იყო რამდენიმე მიდგომა, სადაც ჩართული იყო არაფორმალური სექტორის შეფასებაც [იხ. TER, გვ 75].

წინამდებარე ანგარიშში დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი ანალიზი აქცენტს აკეთებს რამდენიმე სექტორზე. აღნიშნული მოიცავს დაბეგვრისგან გათავისუფლებულ 5 სექტორს (ბავშვთა დაცვა/მოვლა, განათლება, აზარტული თამაშები, ჯანდაცვა, მსუბუქი ავტომობილები[6]) და ნულოვანი დაბეგვრის 2 სექტორს (სოფლის მეურნეობა, ფარმაცევტი სექტორი). აღნიშნული სექტორების დანახარჯები დღგ-ს

[6] ამ სექტორში VATE რაოდენობრივი შეფასება არ ითვალისწინებს, რომ დაბეგვრის მიზნებისთვის აღნიშნული დანახარჯის საპირისპიროდ მსუბუქი ავტომობილები იბეგრება აქციზის გადასახადით.

საგადასახადო დანახარჯების ანგარიშში მთლიანად შეფასებული დღგ-ს დანახარჯების უმეტესობას მოიცავს (2018-2025 წლებისთვის საშუალოდ 54.7 პროცენტი) (ცხრილი 4). რაც შეეხება მთლიან შეფასებულ დანახარჯებს, 2025 წლისთვის დღგ-ს შეფასებული დანახარჯები 6,335.1 მლნ ლარს (მშპ-ს 6.1 პროცენტს) შეადგენს, რაც აღემატება 2018-2024 წლების პერიოდის საშუალო მაჩვენებელს ნომინალურ გამოსახულებაში, თუმცა ჩამორჩება 2019-2024 წლების საშუალო მაჩვენებელს მშპ-სთან პროცენტულად. რაც შეეხება წინა წლებს, დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები 2018 წელს მშპ-ს 4.9 პროცენტიდან 2019 წელს მშპ-ს 6.4 პროცენტამდე გაიზარდა (მშპ-ს შემცირებასთან ერთად). 2020 წლისთვის შემცირდა მშპ-ს 6.2 პროცენტამდე, შემდგომ 2021-2024 წლებში კი აღნიშნული მაჩვენებელი იცვლებოდა და შესაბამისად 7.4, 7.2, 6.8 და 6.6 პროცენტი იყო. 2025 წელს კი ის კვლავ შემცირდა და 6.1 პროცენტზე დაფიქსირდა (ცხრილი 4).

ცხრილი 4. შეფასებული დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები, 2018-2025

ცხრილი 4.a. შეფასებული დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები, მლნ ლარი და %-ულად მშპ-სთან

NACE-2 კოდი	დაკავშირებული ა ცხრილ 2-თან	დებულება	საგადასახადო მიდგომა მიმდინარე კოდექსით | წელი	მლნ ლარი								%-ულად მშპ-სთან							
				2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
			A. გათავისუფლებული:																
88	3, 48	170.1 (ი), (თ)	ბავშვთა მოვლა	33.4	34.9	45.9	39.8	48.8	32.1	40.2	42.7	0.07	0.07	0.09	0.07	0.07	0.04	0.04	0.04
85	2, 5, 41	170.1 (კ) - (ზ), 171.1 (ე)	განათლება	337.8	478.3	400.8	504.0	637.5	802.7	987.7	1,042.5	0.74	0.96	0.81	0.83	0.88	0.99	1.06	1.00
92	34	171.1 (ბ)	ხელოვნური თამაშები	2.7	80.4	89.2	183.3	192.6	277.2	303.6	326.2	0.01	0.16	0.18	0.30	0.26	0.34	0.33	0.31
86	19, 20, 27, 37	173 (ა.ა, ა.ბ, ა.გ), 170.1 (ა)-(ე)	ჯანდაცვა	365.4	488.6	427.0	635.0	644.1	689.9	724.9	766.1	0.81	0.98	0.86	1.05	0.88	0.85	0.78	0.73
29	9, 10, 26	173 (ზ), (ნ), (ჰ)	მსუბუქი ავტომობილები	51.9	62.6	79.1	135.5	190.1	184.9	247.1	260.3	0.11	0.13	0.16	0.22	0.26	0.23	0.27	0.25
			B. ნულოვანი დაბეგვრა:																
01	52, 55	172.4 (ფ), (უ)	სოფლის მეურნეობა	288.7	396.6	347.8	436.3	471.4	448.2	497.2	544.1	0.64	0.80	0.70	0.72	0.65	0.55	0.53	0.52
21	61	172.4(ჯ)	ფარმაცევტული	214.1	287.1	344.5	477.4	537.7	450.4	459.3	481.0	0.47	0.58	0.69	0.79	0.74	0.56	0.49	0.46
			ჯამი (A + B)	1,294.0	1,828.5	1,734.4	2,411.4	2,722.3	2,885.5	3,260.1	3,463.1	2.85	3.68	3.48	3.97	3.74	3.57	3.50	3.31
	სხვა დანარჩენი	სხვა დანარჩენი დებულებები	C. სხვა სექტორები	935.8	1,351.4	1,350.0	2,102.0	2,509.8	2,604.2	2,879.3	2,872.0	2.06	2.72	2.71	3.46	3.44	3.22	3.10	2.75
			D. მთლიანი ჯამი (A + B + C)	**2,229.8**	**3,179.8**	**3,084.4**	**4,513.4**	**5,232.1**	**5,489.6**	**6,139.5**	**6,335.1**	**4.91**	**6.39**	**6.20**	**7.43**	**7.18**	**6.79**	**6.60**	**6.06**

ცხრილი 4.b. შეფასებული დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები, %-ულად საგადასახადო შემოსავლებთან და დღგ-ს შემოსავლებთან


NACE-2 კოდი	დაკავშირებული ა ცხრილ 2-თან	დებულება	საგადასახადო მიდგომა მიმდინარე კოდექსით | წელი	%-ულად საგადასახადო შემოსავლებთან								%-ულად დღგ-ს შემოსავლებთან							
				2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
			A. გათავისუფლებული:																
88	3, 48	170.1 (ი), (თ)	ბავშვთა მოვლა	0.32	0.29	0.42	0.29	0.28	0.16	0.17	0.17	0.76	0.61	0.95	0.64	0.66	0.38	0.43	0.43
85	2, 5, 41	170.1 (ე) - (ზ), 171.1 (ე)	განათლება	3.23	4.03	3.65	3.72	3.69	4.07	4.25	4.12	7.74	8.42	8.26	8.13	8.67	9.57	10.62	10.52
92	34	171.1 (ბ)	ჯანმრთელობა	0.03	0.68	0.81	1.35	1.11	1.40	1.31	1.29	0.06	1.41	1.84	2.96	2.62	3.30	3.26	3.29
86	19, 20, 27, 37	173 (ა.ა, ა.ბ, ა.გ), 170.1 (ა)-(ე)	ჯანდაცვა	3.50	4.12	3.89	4.69	3.73	3.50	3.12	3.03	8.37	8.60	8.80	10.24	8.75	8.22	7.79	7.73
29	9, 10, 26	173 (ზ), (ნ), (პ)	მსუბუქი ავტომობილები	0.50	0.53	0.72	1.00	1.10	0.94	1.06	1.03	1.19	1.10	1.63	2.19	2.58	2.20	2.66	2.63
			B. ნულოვანი დაბეგვრა:																
01	52, 55	172.4 (ფ), (ქ)	სოფლის მეურნეობა	2.76	3.34	3.17	3.22	2.73	2.27	2.14	2.15	6.61	6.98	7.17	7.04	6.41	5.34	5.34	5.49
21	61	172.4(ჯ)	ფარმაცევტული	2.05	2.42	3.14	3.52	3.11	2.28	1.97	1.90	4.90	5.05	7.10	7.70	7.31	5.37	4.94	4.86
			ჯამი (A + B)	12.39	15.42	15.80	17.80	15.74	14.62	14.01	13.70	29.64	32.18	35.75	38.90	37.00	34.39	35.04	34.96
	სხვა დანარჩენი	სხვა დანარჩენი დებულებები	C. სხვა სექტორები	8.96	11.39	12.30	15.51	14.52	13.19	12.38	11.36	21.43	23.79	27.82	33.91	34.11	31.04	30.94	28.99
			D. მთლიანი ჯამი (A + B + C)	**21.35**	**26.81**	**28.09**	**33.31**	**30.26**	**27.82**	**26.39**	**25.05**	**51.07**	**55.97**	**63.57**	**72.80**	**71.12**	**65.43**	**65.98**	**63.95**

შენიშვნა: დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები (VATE) არ ითვალისწინებს არაფორმალურ სექტორს ბენჩმარკში. სექტორული დღგ-ს დანახარჯები გაანგარიშებულია ინდივიდუალურად (სხვა თანაბარ პირობებში), ამიტომ მათი ჯამი შესაძლოა არ იყოს მთლიანი დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების ტოლი, კონკრეტულ წელს

დღგ-ს შემოსავლები დათვლილია დღგ-ს დაბრუნებების გამორიცხვით

შეფასებული საგადასახადო დანახარჯები დღგ-სთვის ძირითადად კონცენტრირებულია რამდენიმე სექტორში: განათლება, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა და ფარმაცევტული სექტორი. დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასება აჩვენებს, რომ აღნიშნულმა სექტორებმა 2018-2025 წლებში დღგ-ს დანახარჯების დაახლოებით ნახევარი შეადგინა. 2025 წელს ყველაზე დიდი წვლილი განათლებამ შეიტანა 1,042.5 მლნ ლარით (2025 წლის მშპ-ს 1.0 პროცენტი), ხოლო ჯანდაცვასა და სოფლის მეურნეობაში დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები მშპ-ს 0.73 პროცენტი და 0.52 პროცენტი დაფიქსირდა, შესაბამისად. ფარმაცევტულ სექტორში კი აღნიშნულმა მაჩვენებელმა მშპ-ს 0.46 პროცენტი შეადგინა.

გრაფიკი 12. შეფასებული დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები შერჩეული სექტორებისთვის, 2018-2025



წყარო: შემოსავლების სამსახური და სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება

შენიშვნა: დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები (VATE) არ ითვალისწინებს არაფორმალურ სექტორს ბენჩმარკში. სექტორული დღგ-ს დანახარჯები გაანგარიშებულია ინდივიდუალურად (სხვა თანაბარ პირობებში), ამიტომ მათი ჯამი შესაძლოა არ იყოს მთლიანი დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების ტოლი, კონკრეტულ წელს

სექტორების მიხედვით შეფასებული დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები 2018-2025 წლისთვის აჩვენებს, რომ ჯანდაცვამ საშუალოდ მშპ-ს 0.87 პროცენტი შეადგინა (592.6 მლნ ლარი). 2025 წელს ჯანდაცვის სექტორში დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები მშპ-ს 0.73 პროცენტი (766.1 მლნ ლარი) შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (724.9 მლნ ლარი) მეტია ნომინალურ გამოსახულებაში, თუმცა შემცირებულია მშპ-სთან მიმართებაში (0.78-დან 0.73 პროცენტამდე). დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები 2025 წლისთვის უმეტეს სექტორში გაიზარდა ნომინალურ დონეებში, თუმცა შემცირდა პროცენტულად. მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა განათლების სექტორის დღგ-ს საგადასახადო დანახარჯებში 2018 წლიდან, როდესაც აღნიშნული მაჩვენებელი 2018 წლის 337.8 მლნ ლარიდან 478.3 მლნ ლარამდე გაიზარდა 2019 წელს, ხოლო 2020 წელს შემცირდა 400.8 მლნ ლარამდე, თუმცა 2021-2025 წლების პერიოდში იზრდებოდა და 2025 წლის მდგომარეობით მისი მნიშვნელობა 1,042.5 მლნ ლარს წარმოადგენს. ფარდობით მაჩვენებლებში კი განათლების სექტორის დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები მშპ-სთან მიმართებაში 0.74 პროცენტიდან (2018 წელს) 1.0 პროცენტამდე (2025 წელს) არის გაზრდილი (2024 წელს 1.06 პროცენტი). 2018 წლიდან დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები გაზრდილია როგორც სოფლის მეურნეობის, ისე - ჯანდაცვის სექტორებში აბსოლუტურ სიდიდეში. სოფლის მეურნეობის დარგში 2018-2025 წლების პერიოდში ზემოთ აღნიშნული მაჩვენებელი 288.7 მლნ ლარიდან

544.1 მლნ ლარამდე, ხოლო ჯანდაცვის სექტორში კი 365.4 მლნ ლარიდან 766.1 მლნ ლარამდე არის გაზრდილი. რაც შეეხება მოცემულ მაჩვენებლებს მშპ-სთან მიმართებით, სოფლის მეურნეობისათვის 0.64-დან 0.52 პროცენტამდე, ხოლო ჯანდაცვისათვის კი 0.81-დან 0.73 პროცენტამდე არის შემცირებული. (გრაფიკი 12).

თავი IV. დასკვნა

საგადასახადო დანახარჯები განსაზღვრულია, როგორც გადახრა საბაზისო საგადასახადო სისტემიდან და ხშირ შემთხვევაში, მათ შედეგად სახელმწიფო კარგავს შემოსავლებს. ბენჩმარკული საგადასახადო სისტემა გამომდინარეობს საბაზისო (საორიენტაციო) საგადასახადო სისტემის იდეიდან, რომლის მიმართაც დგინდება საგადასახადო დანახარჯების (TE) არსებობა. ბენჩმარკის საგადასახადო სისტემის განსაზღვრისთვი ს საქართველოში გამოიყენება „ლეგალური“ მიდგომა, რაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიერ აღიარებულ მოდელებსა და პრინციპებს ეფუძნება.

საგადასახადო კოდექსზე დაყრდნობით იდენტიფიცირებული და შეფასებულია მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების 52 და დღგ-ს 66 საგადასახადო დანახარჯი.

ვინაიდან გადასახადებისგან გათავისუფლებისა და შეღავათების მიზანი არის სოციალური მიზნის მიღწევა და ბიზნესის მხარდაჭერა, ძალიან მნიშვნელოვანია ამ შეღავათებიდან გამომდინარე საგადასახადო დანახარჯების ანალიზი. სწორედ ამიტომ, ამ ანალიზის პირველი ნაბიჯია საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასება. მისი მიზანია საგადასახადო დანახარჯების შეფასება დამატებული ღირებულების გადასახადის, საშემოსავლო გადასახადისა და მოგების გადასახადისთვის, 2018 წლიდან დღემდე, მისი ტენდენციებისა და კონტრიბუტორების ანალიზის ჩათვლით. მიუხედავად იმისა, რომ დღგ-ს, საშემოსავლო და მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასება განხორციელდა 2018-2020 წლებისთვის საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და USAID-ის მიერ, ამ ანგარიშში წარმოდგენილი ზოგიერთი შედეგი მათი წინა შეფასებებისგან განსხვავებულია, საგადასახადო დანახარჯების შეფასების 2025 წლის დოკუმენტში (იხ. TER) გამოყენებული გარკვეული სახის მეთოდოლოგიური ცვლილებისა და განახლებული და დაზუსტებული მონაცემების გამო. განახლებული მონაცემების გამო შესაძლოა მიმდინარე ანგარიშის შედეგები განსხვავდებოდეს გასული წლის ანგარიშში არსებული შედეგებისგან. დოკუმენტი მოიცავს 2018-2025 წლების მონაცემების რაოდენობრივ შეფასებას. მონაცემების სიმცირის გამო (მაგ: დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები 2025 წლისთვის) ანგარიშს გააჩნია გარკვეული შეზღუდვები, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს რაოდენობრივი შეფასების სიზუსტეს.

საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი ანალიზისას შეფასებულია დღგ-ს, მოგებისა და საშემოსავლო დანახარჯები. მოგების დანახარჯები თავის მხრივ იყოფა: ძველი მოგების გადასახადი (Old CIT) და განაწილებული მოგების გადასახადი (ესტონური მოდელი) (DPT), ასევე შეფასებულია სხვა მოგებისა და საშემოსავლო გადასახადები (მაგ: აქტივების ამორტიზაცია, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე საწარმოები). ანგარიშში გამოყენებულია „შემოსავლების დანაკარგის“ (“revenue forgone”) მეთოდი იმ დაშვებით, რომ გადასახადის გადამხდელების ქცევასა და საგადასახადო ადმინისტრირებაში არ არის მოსალოდნელი ცვლილებები საგადასახადო დანახარჯების გაუქმების შემთხვევაში.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2022 წლის ანგარიშში (TER) ჩატარებული სენსიტიურობის ანალიზიდან შერჩეულ შეფასებებს მოგების, საშემოსავლო და დღგ-ს საგადასახადო დანახარჯებისთვის. შერჩეული შეფასებები, რაც ანგარიშშია გამოყენებული, მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავლის საგადასახადო დანახარჯის შეფასებისას არ არის გათვალისწინებული საპროცენტო პარიტეტი, კორექტირებულია გადასახადის გადახდის პერიოდითა და ვალუტების დეკომპოზიციით.
- მცირე ბიზნესის საგადასახადო დანახარჯის შეფასებისას გამოყენებულია დაშვება 7.02 პროცენტიანი მოგების მარჟის შესახებ.
- დღგ-ს საგადასახადო დანახარჯების შეფასებისას არ არის გათვალისწინებული არაფორმალური სექტორი.

სულ შეფასებული საგადასახადო დანახარჯები 2025 წელს 6,875.2 მლნ ლარი (მშპ-ს 6.57 პროცენტი) იყო, რაც 2018-2024 პერიოდის ყველა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებზე მეტია ნომინალურ გამოსახულებაში, თუმცა მშპ-ს პროცენტულ სიდიდეში ის ჩამორჩება ზემოაღნიშნული პერიოდის ყველა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს გარდა 2018 წლისა. 2025 წლის მთლიანი საგადასახადო დანახარჯებიდან დღგ-ს საგადასახადო დანახარჯებზე მოდის მშპ-ს 6.06 პროცენტი (დაახლოებით 92 პროცენტი მთლიანი საგადასახადო დანახარჯების), ხოლო მოგებისა და საშემოსავლო საგადასახადო დანახარჯებზე - მშპ-ს 0.52 პროცენტი (დარჩენილი 8 პროცენტი). შეფასებული ძველი მოგების გადასახადისა და განაწილებული მოგების გადასახადის საგადასახადო დანახარჯები 2018 წლიდან მშპ-სთან მიმართებით დაახლოებით ორჯერ შემცირდა, რაც ძველი მოგების გადასახადის მნიშვნელოვანი შემცირებითაა გამოწვეული (2018 წლის 0.36-დან 2025 წლისთვის მშპ-ს 0.1 პროცენტი), ხოლო სულ შეფასებული საშემოსავლო საგადასახადო დანახარჯები ასევე შემცირდა მშპ-ს 0.41 პროცენტიდან (2018 წელს) 0.29 პროცენტამდე (2025 წელს).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ფინანსთა სამინისტროს მიერ საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასება პირველად განხორციელდა 2020 წელს და თან დაერთო 2021 წლის ბიუჯეტის კანონს. თუმცა, დოკუმენტში გაანალიზებული იყო მხოლოდ დღგ-ს საგადასახადო დანახარჯები. ამის შემდგომ, საგადასახადო დანახარჯების შეფასების ანგარიშის გამოქვეყნება

მოხდა 2022 წელს, რომელიც მოიცავდა 2018-2021 წლებს და შესაბამისად, წარმოადგენდა საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასების გაუმჯობესებას და მოიცავდა არა მხოლოდ დღგ-ს, არამედ - მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების საგადასახადო დანახარჯებსაც. ანგარიში განახლდება ყოველწლიურად, დაზუსტებული მონაცემებით. საგადასახადო დანახარჯების დეტალური ნუსხა და მეთოდოლოგია იგივეა, რაც 2022 წლის ანგარიშში არის წარმოდგენილი (TER). ფინანსთა სამინისტროს შემდგომი სამუშაოები ორიენტირებული იქნება შემდგომი წლებისთვის საგადასახადო დანახარჯების რაოდენობრივი შეფასების განახლებაზე, სხვა საგადასახადო დანახარჯების ანალიზის დამატებასა და საგადასახადო დანახარჯების დისტრიბუციული და სოციალურ-ეკონომიკური გავლენების ანალიზზე.

გამოყენებული ლიტერატურა

საგადასახადო დანახარჯების შეფასების ანგარიში (2022). საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, https://shorturl.at/Oz7ul

საგადასახადო დანახარჯების შეფასების ანგარიში (2023). საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, https://shorturl.at/tisRM

საქართველოს საგადასახადო კოდექსი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=186

Australian Government. (2007). Department of Treasury. Tax Expenditures Statement 2007. Canberra, Commonwealth of Australia. Available at: https://treasury.gov.au/publication/tax-expenditures-statement-2007

Gendron, P.-P., & Mylonas, V. (2022). Georgia: Capacity Development in Tax Expenditure Assessment. Technical Report | April 2022. Fiscal Affairs Department, International Monetary Fund.

Heady, C. & Mansour, M. (2019). Tax Expenditure Reporting and its Use in Fiscal Management: A Guide for Developing Economies. How-to-Note No. 19/2. Fiscal Affairs Department, International Monetary Fund, Washington, DC.

https://www.imf.org/~/media/Files/Publications/HowToNotes/HTNEA2019002.ashx

IMF (2018). *Fiscal Transparency Handbook*. International Monetary Fund, Washington, DC. https://doi.org/10.5089/9781484331859.069

OECD (2010). Tax Expenditures in OECD Countries. OECD Publishing, Paris, https://doi.org/10.1787/9789264076907-en

Swistak, A., de la Feria, R., Gendron, P.-P., & Mylonas, V. (2020). *Georgia: VAT Expenditure Policy*. Technical Report, November 2020. Fiscal Affairs Department, International Monetary Fund, Washington, DC.

Swistak, A., Vellutini, C., Gendron, P.-P., & Mylonas, V. (2022). *Georgia: Follow-Up on Tax Expenditure Assessment*. Technical Report, February 2022. Fiscal Affairs Department, International Monetary Fund, Washington, DC.

United States Agency for International Development (USAID). 2021. *Analysis of Tax Expenditures. Technical Report*. USAID, Washington, DC.